ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 4 აპრილი, 2022 №66 (8844) ფასი: 80 თეთრი

თბილისში ლაგუნა ვერესთან 2 ადამიანი მოკლეს, დაჭრილია 5

გვ.5

სისხლიანი გარჩევა ბიზნესის გამო

„რუსეთ-უკრაინის დაზავება წარმოუდგენელია, არანამიამ იჩქარა“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ძალიან სამარცხვინო მდგომარეობაში ვართ. სრული გაუგებრობა სჭირს ჩვენს ხელისუფლებას“

„ელჩის გაწვევა, ეს არის პრეზიდენტის პროგატივა და თავი უნდა დაანებონ ქართველებმა ყველგან საკუთარი კვალის ძიებას“

„ქართულ ოცნებაში“ შიდა გადაჯგუფება იწყება?

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია უკვეანეკდოტად ქცეულ მდგომარეობაშია“

ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებაში ევროკავშირი ჩაერთო

გვ.4

რატომ აღიქვამენ რუსეთში აზერბაიჯანსა და თურქეთს არამეგობრულ სახელმწიფოებად

პრემიერ-მინისტრმა ბათუმში ის ავარიული სახლები დაათვალიერა, რომელთა თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლებაც იგეგმება

გვ.2

ნარკოდანაშაულისთვის უკრაინის მოქალაქე დააკავეს



„დაუღრიალა, გამოეთრიეო, ერთხელ სახლიდან ხალათით და ჩუსტებით გააგდო“



გვ.5

რას ამბობს ნიკა ბასილაშვილზე ყოფილი სიდედრი

2 ივანიშვილი ამერიკულ აქტივებს თმობს

5 სუსის ხელმძღვანელმა მთავარ არხს, ფორმულას და ლევან ხაბეიშვილს სასამართლოში უჩივლა

5 მამაკაცი ცოლს აუპატიურებდა და შვილებთან გარყვნილ ქმედებას აწარმოებდა

6 დავით არახამია: „ახლა ჩვენი მიზანია, შევქმნათ ჩვენი ნატო“

1993230720223

„რუსეთ-უკრაინის დაზავება წარმოუდგენელია, არახამიამ იჩქარა“

მამუკა გამყრელიძე: „ძალიან სამარცხვინო მდგომარეობაში ვართ. სრული გაუგებრობა სჭირს ჩვენს ხელისუფლებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი ელჩი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? საომარი მოქმედებების პარალელურად მოლაპარაკებები მიმდინარეობს მხარეებს შორის. როგორც არახამია აცხადებს, მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმება შედგაო. რას ნიშნავს ზეპირი შეთანხმება და რამდენად სანდოა რუსეთი ზეპირ შეთანხმებებში? არახამიასგან განსხვავებით, სულ სხვას აცხადებს რუსული მხარე. რას ნიშნავს ეს?

– ჯერ ერთი, აბსოლუტურად არასანდოა რუსეთი არა თუ ზეპირ შეთანხმებებში, არამედ წერილობითშიც და ბეჭედდასმულშიც, მაგრამ უნდა ითქვას რომ მედინსკიმ ძალიან სწრაფად გააკეთა დეზავუირება ამ განცხადებისა და თქვა, რომ არაფერზე არ შევთანხმებულვართ ჯერჯერობით და ჯერ ადრეა საერთოდ რაიმეზე საუბარი, ძალიან ბევრი სამუშაოაო. სავარაუდოდ, ალბათ ასეც არის და არახამიამ ქართული ხასიათი გამოაჩინა და იჩქარა, ჩემი აზრით.

– ყირიმი რჩება შეუთანხმებელ საკითხადო. ანუ ამ მოლაპარაკებებში ყირიმი საერთოდ არ განიხილება?

– განიხილება ასე – უკრაინელები სთავაზობენ, 15 წლის განმავლობაში მორატორიუმს ყირიმის სტატუსის განხილვასთან დაკავშირებით.

– ზავის რა პირობებს სთავაზობს უკრაინა?

– სიმართლე რომ გითხრათ, მე ვერ ვხედავ ვერანაირ პირობებს ზავისათვის. როგორ უნდა დაზავდნენ რაიმე პირობაზე, როცა ოკუპანტი არის შენ ტერიტორიაზე შემოჭრილი?! ნებისმიერ შემთხვევაში ის გამარჯვებული რჩება. თუ ის არის ჩემს ტერიტორიაზე და შენ ასეთ პირობებში ზავს აწერ ხელს, მაშინ ის არის გამარჯვებული. მაგალითად, ჩვენ რუსეთთან ზავი არა გვაქვს, ჩვენ გვაქვს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტაზე. არც დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს და პრაქტიკულად ცივი ომის პირობებში ვიმყოფებით. ვერც უკრაინა ვერ შეთანხმდება სხვა ვერაფერზე, გარდა ცეცხლის შეწყვეტისა და რაღაც ფარგლებში, რუსების იქ დარჩენისა. მე თუ მკითხავთ, ახლა ამ ზავზე საუბარი და მოლაპარაკებები რუსეთის მხრიდან არის დროის მოგების მცდელობა და ტაქტიკური ფანდია იმისათვის, რომ გადალაგება შეძლოს და გადაჯგუფება მოხდეს ძალების. რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ იტყვის უარს იმ თავის მთავარ სურვილზე...

– რა არის რუსეთის მთავარი სურვილი?

– ამას ომამდეც ვამბობდი, რუსეთის მთავარი მიზანი არის სამხრეთიდან მოჭრა უკრაინისა. ანუ ლაპარაკია აზოვის და შავ ზღვაზე გასასვლელზე. უკვე კარგად ჩანს, რომ ოდესას ვერაფერს მოუხერხებენ და ვერ აიღებენ, მაგრამ

„ელჩის გაწვევა, ეს არის პრეზიდენტის პრეროგატივა და თავი უნდა დაანებონ ქართველებმა ყველგან საკუთარი კვალის ძიებას“

აზოვის ზღვიდან მოჭრიან. ეს არის უმძიმესი დარტყმა უკრაინისთვის. რატომ ვამბობ იცით? აზოვის ზღვაზე ხდებოდა უზარმაზარი თანხების ჩადება ბრიტანელების მხრიდან. 4 თუ 5 მილიარდზეა საუბარი. სადაც უნდა შექმნილიყო დიდი სამხედრო საზღვაო ბაზა და შექმნილიყო უკრაინის რეალური საზღვაო ფლოტი. აი მთელი ეს პროგრამა და პროექტი არის წყალში გადაყრილი. უკრაინელები უნდა შეეცადონ, განდევნონ და დააბრუნონ რუსები ან თავის ტერიტორიაზე, ან იმ ფარგლებში მაინც, რა ფარგლებშიც ისინი იყვნენ 24 თებერვლამდე.

– არახამია აცხადებს, რომ ჩვენ, ჩვენი ნატო უნდა შევქმნათო. რას ნიშნავს ეს განცხადება?

– ამ ე.წ. საკუთარი ნატოს შექმნას ცდილობს ერთი მხრივ ინგლისი, ცდილობს თურქეთიც, ასევე პოლონეთიც, ცდილობს საფრანგეთი და გერმანია. ევროპა მიხვდა, რომ დღეს ნატო არის ამერიკა და არა ევროპა. ამერიკის ინსტრუმენტი უფროა პირველ რიგში, ვიდრე ევროპელების დაცვის მექანიზმი. ამიტომ შეეცდებიან, რომ ახალი სისტემა შექმნან. ამას წლები დასჭირდება, რა თქმა უნდა, მაგრამ ახალი თავდაცვითი სისტემა შეიქმნება, რომელიც მხოლოდ ევროპის მხრიდან იქნება დაფინანსებულიც და ოპერირებაც სწორედ ევროპელების ხელით მოხდება. თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ნატოზე უარი უნდა ითქვას და ნატოსა და ამ ახალ სისტემას შორის არ იყოს ურთიერთობა, პირიქით. დღეს ლაპარაკია სხვადასხვა ვარიანტებზე, თუმცა ამ ყველაფერს დრო დასჭირდება.

– რამდენად შესაძლებელია და ახლო მომავლის პერსპექტივაა პუტინის და ზელენსკის შეხვედრა?

– მე არ მგონია, რომ ეს უახლოეს ხანებში შესაძლებელი იყოს და ვფიქრობ, რომ არახამია, უბრალოდ, აჩქარდა. ჯერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ ამ ორმა ადამიანმა ერთმანეთში დაილაპარაკოს.

– რუსეთს სანქციებს უმკაცრებენ. ლიეტუვამ რუსული გაზის იმპორტზე უარი თქვა. ის პირველი ქვეყანაა, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო. როგორ ფიქრობთ, რას იზამს დანარჩენი ევროპა? ბოლომდე უარს ეტყვის რუსულ გაზს?

– უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რთული იქნება. 40% რუსული გაზით მარაგდება გერმანია და მე არ ვიცი, ამის ჩანაცვლება რანაირად შეიძლება მოხდეს. უახლოეს ხანებს ვგულისხმობ, თორემ რამდენიმე წლის შემდეგ ეს შესაძლებელი იქნება. გერმანიამ მაშინ გამოიჭრა ყელი, როდესაც შრედერის პროექტი და შემდეგ მერკელის მიერ აღსრულებული ეს პროექტი, ატომური ელექტროსადგურების შეჩერებისა, მოიყვანა სისრულეში. ეს იყო კატასტროფა და პირდაპირ ხელში ჩაგდება რუსეთისათვის გერმანიის. ამისათვის „დაჯილდოვდა“ კიდევაც შრედერი და მერკერიც სავარაუდოდ. რაც შეეხება თურქეთს, თურქეთმაც განაცხადა, რომ ის უბრალოდ ვერ მოახერხებს უარის თქმას, იმიტომ, რომ მას უმძიმესი პრობლემები შეექმნება. ატომურ ელექტროსადგურს უშენებენ რუსები და ეს მომავალში საშუალებას მისცემს თურქეთს, უარი თქვას რუსულ გაზზე. ამ ეტაპზე უარის თქმის საშუალება არა აქვთ. რა, უკრაინა არ მარაგდება რუსეთიდან?! მოდით სიმართლეს შევხედოთ თვალებში. პრაქტიკულად 100%-ით უკრაინა მარაგდება რუსული გაზით. ჰოდა, სხვას რომ მოუწოდებ, შენც შეხედე შენს თავს. ძალიან რთულია მოუწოდო ევროპას, რომ თავის ინდუსტრიაზე უარი თქვას. ეს ძალიან რთულია.

– ბატონო მამუკა, რა ხდება ქართულ რეალობაში? ჩვენ რა მდგომარეობაში ვართ ამ ყველაფრის ფონზე? გასული კვირის ბოლოს ელჩი გაიწვია ზელენსკიმ საქართველოდან, რასაც დიდი აჟიოტაში მოყვა ქართულ პოლიტიკურ წრეებში.

– როგორც ქართველებს სჩვევიათ, ყველგან საკუთარი თავი უნდა დაინახონ და ყველგან ყველაფერი მათი მონაწილეობით უნდა მოხდეს. რა შუაშია საქართველო და რა შუაშია ელჩის გაწვევა პრეზიდენტის მხრიდან?! ის უკმაყოფილო იყო ელჩის მუშაობით და ამის ახსნაც არსებობს. იმიტომ, რომ რამდენადაც ვიცით, გაეროში იქნება ეს, შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ბალტიის ქვეყნებში, უკრაინელებს ჰყავთ კარგი და აქტიური ელჩები, აი ძალიან აქტიური. ისეთივე, როგორც თვითონ ზელენსკია. ეს ელჩი ძალიან კარგი ადამიანი იყო, მე მას პირადად ვიცნობდი. კარგი დიპლომატიც იყო, მაგრამ კლასიკური გაგებით. ის იყო ძალიან დახურული, ძალიან ფარგლებში მყოფი და მოაზროვნე.

– ანუ ზელენსკი საკუთარი ელჩის მუშაობით არის უკმაყოფილო თუ ჩვენ გაგვიბრაზდა?

– ჩვენ გაგვიბრაზდა მაშინ, როდესაც ელჩი გაიწვია კონსულტაციებზე. აი ეს იყო წყენა, როდესაც საქართველოს მთავრობამ ხელი შეუშალა მოხალისეებს უკრაინაში წასვლაში. მაშინ იყო წყენა. ელჩის გაწვევა, ეს არის პრეზიდენტის პრეროგატივა და თავი უნდა დაანებონ ქართველებმა ყველგან საკუთარი კვალის ძიებას. ძალიან გვინდა, რომ ყველგან მნიშვნელოვნები ვიყოთ, მაგრამ არ ვართ ასეთი მნიშვნელოვანი და ეს უნდა გავიგოთ ოდესღაც. რა შუაში ხარ შენ და ვინა ხარ?!

– ამ სიტუაციიდან გამომდინარე რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ?

– ჩვენ ვართ გაუგებრობაში. ჩვენ არ ვიცით, საით გადავიხაროთ, ვინ გაიმარჯვებს, ვის მხარეს ვიყოთ, როგორი სიტუაცია იქნება? აი ეს კითხვები აწუხებს ჩვენს ხელისუფლებას. უკრაინის მხარეს იყვნენ, ვაი და რუსებმა მოიგონ?! ჩვენი მთავრობა, რაღაცნაირად ექსცენტრულ მდგომარეობაშია, ტრიალებს, საით წავიდეს, არ იცის, დაფეთებულია. ძალიან სამარცხვინო მდგომარეობაშია. სრული გაუგებრობა და გადაუწყვეტელობა რასაც ჰქვია, ის სჭირს ჩვენს ხელისუფლებას. რა ვქნათ, ეგეთი მთავრობა გვყავს, მაგრამ ჩვენ ავირჩიეთ და ნურც ეს დაგვავიწყდება.

პრემიერ-მინისტრმა ბათუმში ის ავარიული სახლები დაათვალიერა, რომელთა თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლებაც იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან და ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად ბათუმში, ავარიული სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლები დაათვალიერა, რომელთა ჩანაცვლებასაც მთავრობა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის – „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ფარგლებში გეგმავს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ბათუმში მწვავედ დგას ავარიული სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების პრობლემა, რაც საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის და აღნიშნულ პრობლემას ხელისუფლება უმოკლეს ვადაში გადაჭრის.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ საქართველოს მთავრობამ 28 მარტს დაამტკიცა. პროგრამის ფარგლებში სრულად ჩანაცვლდება 300-მდე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი ახალი, თანამედროვე საცხოვრისით და 3.000-ზე მეტი ოჯახი ცხოვრებას უსაფრთხო გარემოში გააგრძელებს.

ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ყველა დეველოპერს, მშენებელ კომპანიას პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის 150 მილიონი ლარის მოცულობის საბანკო თავდებობას შესთავაზებს.

ივანიშვილი ამერიკულ აქტივებს თმობს

სანქციების შიში, რა ხდება ივანიშვილის თავს? – ქართველმა ოლიგარქმა ამერიკაში, ფლორიდის სანაპიროზე მდებარე ქონება, 17 მილიონ დოლარად გაასხვისა.

„ნოდარ მელაძის შაბათის“ ჟურნალისტური გამოძიებით დგინდება, რომ საქართველოს არაფორმალური მმართველი ამერიკულ აქტივებს თმობს. კონკრეტულად, ეს ქონება ივანიშვილმა 1995 წელს 5 მილიონ დოლარად შეიძინა.

ამერიკულმა მედიამ ივანიშვილის ოფშორებში გადამალული კაპიტალი გაშიფრა და იქ ქართული გვარები აღმოაჩინა. საერთაშორისო მედიის ცნობით, 8.000 კვადრატული მეტრის ქონება გაიყიდა, კვალი კი „ქართულ ოცნების“ დამფუძნებლის მარჯვენა ხელამდე, გიორგი ბაჩიაშვილამდე მივიდა.

ირკვევა, რომ ფლორიდის სანაპიროზე მდებარე ქონებას ოფშორში რეგისტრირებული კომპანია „მონიკა საუნდ ლიმიტედი“ ფლობდა, რომლის წარმომადგენლად გიორგი ბაჩიაშვილი იყო მითითებული. ეს უკანასკნელი თანაინვესტირების ხელმძღვანელი და ოლიგარქის ნდობით აღჭურვილი პირია.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ოლიგარქს სანქციების შეეშინდა და ქონების გასხვისება დაიწყო, რადგან შესაძლებელია, რომ 1995 წელს ივანიშვილს ქონება რუს ოლიგარქებთან ერთად ეყიდა.

რუსთავში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი შატაკიშვილმა 90.61% მიიღო

ცესკოს წინასწარი მონაცემებით, რუსთავის ყველა უბნის დათვლის შედეგად, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი შატაკიშვილმა ხმების 90,61 % მიიღო.

121 საარჩევნო უბნის წინასწარი მონაცემებით, შატაკიშვილმა ხმების 90.61% (34.333 ხმა) მიიღო; „სოციალური სამართლიანობისთვის“ კანდიდატმა მამუკა ტუსკაძემ – 6,95% (2.634 ხმა); „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის“ კანდიდატმა კამალ მურადხანოვმა კი 2,43% (923 ხმა).

ცნობისთვის, ორ მაჟორიტარულ ოლქში საქართველოს პარლამენტისა და ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართა. საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის არჩევნები ჩატარდა N12 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, რომელიც რუსთავს და გარდაბნის ნაწილს მოიცავს. ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარის ასარჩევად კი კენჭისყრა N79.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გაიმართა, რომელიც გონიოს, კვარიათსა და აეროპორტის დასახლებას მოიცავს.

რუსთავში, N12 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნების ჩატარება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც მაჟორიტარი დეპუტატი ნინო ლაცაბიძე რუსთავის მერი გახდა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებაში“ შიდა გადაჯგუფება იწყება?

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია უკვე ანეკდოტად ქცეულ მდგომარეობაშია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მან რეგიონებში ვიზიტები დაიწყო. იმ ფონზე, როდესაც ბათუმსა და რუსთავში გამოკლებული არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო, რას შეიძლება პრემიერის ხალხში გასვლა უკავშირდებოდეს?

– პარტია „ქართულ ოცნებას“ უკვე არჩევნების თვალსაზრისით, 2024 წლამდე სამიზნე აღარაფერი აქვს, ყველა არჩევნები მოგებული აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ერთგვარ შიდა პარტიულ პროცესებთან იყოს კავშირში. ასეთი ვიზიტების ფონზე უფრო გახშირდება მისი გამოჩენა საზოგადოებაში, ტელეეთერებში. ნებისმიერ პოლიტიკოსს სჭირდება რეიტინგი და აქტუალობა.

– შეიძლება ერთგვარი შიდა გადაადგილება იგეგმებოდეს?

– არაფერი გამორიცხული არ არის.

– ბატონო რამაზ, თავის დროზე იყო საუბარი, რომ შეიძლება პრემიერი ირაკლი კობახიძე გახდეს. თუმცა, მაშინ, როგორც ჩანს, მისი რეიტინგიდან გამომდინარე ეს არ მოხდა.

– საერთოდ, ევროპაში, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრი მმართველი პარტიის თავმჯდომარე არის. ჩვენთან ეს ერთგვარი „ტრადიცია“, თუ შეიძლება ასე ითქვას, დარღვეულია. ახლა დიდი შესვენება აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკოსებს ოპოზიციიდან, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ ეს დრო იხელთოს და შიდა გადალაგება, გადაჯგუფება მოხდეს.

სხვათა შორის კობახიძესთან დაკავშირებით ეს საკითხი (გაპრემიერება) პერიოდულად აიწევს და პერიოდულად დაიწევს. რასთან არის ეს კავშირში, რთული სათქმელია. ირაკლი კობახიძის გააქტიურება ხშირად საარჩევნო პერიოდთან არის კავშირში. ახლაც მისი ფიგურის წამოწევა ბათუმისა და რუსთავის არჩევნებს უკავშირდებოდა. თუმცა, არაფერი არ არის გამორიცხული. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ღარიბაშვილმა კობახიძე „ქართული ოცნების“ პარტიის თანამდებობაზე ჩაანაცვლოს.

ხშირად, როდესაც საქმე ეხება შიდა ბრძოლებს, შიდა პარტიულ თუ სამთავრობო დაპირისპირებებს ან კოლეგები ერთმანეთზე რა აზრისანი არიან, გარეთ არ გამოდის. ამიტომ, ხშირად ესა თუ ის ცვლილება არ არის საზოგადოებისთვის გასაგები თუ, რასაკვირველია, ჭორებზე არ ვისაუბრებთ. ასეთ დროს ე.წ. ტაიმერი ირთვება. მანქანა, რომელიც შეცდომებს ითვლის, ჩინოვნიკების შეცდომებს, რასაც მოჰყვება ხოლმე გადაყენება. ასეთ დროს შეცდომების რაოდენობას მნიშვნელობა აქვს.

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტები რეგიონებში შეიძლება ერთგვარი გადაფარვაც კი იყოს იმ განცხადებების, რომელიც უკრაინასთან დაკავშირებით გააკეთა. ღარიბაშვილის ამ განცხადებებით მოხიბლული ის ადამიანებიც კი არ დარჩენილან, რომლებიც შინაარსს არ აპროტესტებდნენ, მაგრამ მათთვის ფორმა იყო მიუღებელი ან ძალიან ხისტად იყო ნათქვამი.

– ეკონომიკის ყოფილი მინისტრის თურნავას გადაყენებასაც არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ცვლილება განპირობებული იყო ღარიბაშვილის ერთგული გუნდის ფორმირებით. დღეს ასეთი ცვლილებების ნიშან-წყალი არ ჩანს?

– რთული სათქმელია, რადგან ინფორმაცია არ გამოდის. რაც შეეხება ამ კონკრეტულ ცვლილებას, თითქოს, რაც გარედან ჩანდა, თურნავა სამთავრობო გუნდის ინტერესების დამცველი იყო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, შიგნით რა ხდებოდა. ბუნდოვანია ხოლმე, რატომ ხდება ესა თუ ის გადაადგილება, მოხსნა, რა არის მიზანი. შუა კოვიდის დროს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის, ტიკარაძის, წასვლაც ასეთივე გაუგებარი და აუხსნელი დარჩა საზოგადოებისთვის. ასეთ დროს, რაც არ ჩანს, რაც გარეთ არ გამოდის, ეტყობა, ის ახდენს გავლენას ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას.

– ოპოზიციაზეც უნდა გკითხოთ. შეიძლება ვთქვათ, რომ ოპოზიცია ბედს ეგუება, რომ 2024 წლამდე არჩევნები არ გაიმართება?

– როგორც ჩანს, ეგუება, სხვა რა გზა აქვთ. ოპოზიცია უკვე ანეკდოტად ქცეულ მდგომარეობაშია. გამოდის, რომ დღეს ოპოზიციას არაფერი ახალი სათქმელი ხალხისთვის არ აქვს. ახლა მათთვის ყველაზე კარგი იქნება, დასხდნენ და იმსჯელონ, რა არის ამის მიზეზი, რატომ არიან ამ მდგომარეობაში. გააანალიზონ, იფიქრონ, რატომ? თუ არაფერს არ შეცვლიან თავიანთ მიდგომებში, დამოკიდებულებაში საქმის მიმართ, იმ ამოცანის მიმართ, რომელიც აქვთ და თუ მექანიკურად გააგრძელებენ მოქმედებას, რასაც აქამდე ვხედავდით, შედეგი იგივე იქნება, უარესიც კი.

თინა ხიდაშელი: „ხელისუფლება არის სუპერმშიშარა“

– საქართველოს ხელისუფლებამ უნიკალური თვისება გამოაჩინა, რომ ის არის სუპერმშიშარა ხელისუფლება და როდესაც ასეთი მშიშარა ხარ, შენ წინააღმდეგ მაინცდამაინც თოფი, ტანკი და საჰაერო თავდაცვა არ სჭირდებათ.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა მინისტრმა, თინა ხიდაშელმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, რითაც ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტის განცხადება შეაფასა, რომლის თანახმადაც, სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში იქნება.

მისი თქმით, დღეს საქართველოზე შეტევა მიმდინარეობს, რაც არა სამხედრო, არამედ საინფორმაციო შტურმს გულისხმობს.

– დღეს ამ განცხადებებით სრულფასოვნად ჰიბრიდული ომია სახეზე. საქართველოზე მიმდინარეობს შეტევა, არა სამხედრო შესაძლებლობების გამოყენებით, არამედ ყველა სხვა, დანარჩენი საშუალების გამოყენებით. რატომ? – რადგან საქართველოს ხელისუფლებამ უნიკალური თვისება გამოაჩინა, რომ ის არის სუპერმშიშარა ხელისუფლება და როდესაც ასეთი მშიშარა ხარ, შენ წინააღმდეგ მაინცდამაინც თოფი, ტანკი და საჰაერო თავდაცვა არ სჭირდებათ, მუდმივად უნდა შეგიძახონ, რომ შეშინებულის მდგომარეობაში იყო.

როდესაც ბევრი ფლანგიდან მიმდინარეობს შეტევა და ის სინქრონიზირებულია, საინფორმაციო შტურმს ვგულისხმობ, გაქვს აბსოლუტური რწმენა, რომ ეს არის ორკესტრირებული. ეს არაა, რომ უცებ ბიბილოვმა გამოიღვიძა და დაინახა, უკრაინაში რა ხდება, – განაცხადა ხიდაშელმა.

მან ასევე ისაუბრა უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმერ ზელენსკის მიერ ელჩის გაწვევის გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლება ომში მყოფ პრეზიდენტს ეპაექრება.

ხიდაშელის შეფასებით, დღეს მთავარი ამოცანა არის, რომ ზელენსკის მიერ საქართველოს მოსახლეობისთვის მიმართვა გახდეს საყრდენი პლატფორმა ქართულ-უკრაინული ურთიერთობებისთვის.

– როდესაც ელჩთან დაკავშირებით ასეთი ამბავი ხდება ორ სახელმწიფოს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს პრობლემები, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები უკრაინასთან.

ჩვენ პრობლემები გვაქვს უკრაინასთან უკვე ბევრი წელია, ეს არ არის პირველი შემთხვევა, მანამდე ჩვენ გვყავდა უკრაინიდან ელჩი გამოწვეული. ჩვენი ხელისუფლება დგას მიკროფონებთან და სიტყვიერად ეპაექრება ვოლოდიმერ ზელენსკის, რომელსაც ფარაჯა აცვია და ომშია. მთავარი ამოცანა ის არის, ზელენსკი ჩვენ რომ გველაპარაკა, ეს იყოს საყრდენი პლატფორმა ქართულ-უკრაინული ურთიერთობისთვის. ზელენსკიმ რომ თბილისის ქუჩას მიმართა, ეს იყოს მთავარი ამოსავალი ხვალინდელი დღისთვის, ეს პლატფორმა და შანსი არ უნდა დავკარგოთ, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

პრემიერ-მინისტრი ქობულეთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო

– მოგეხსენებათ, საარჩევნო კამპანიის დროს აქტიურად დავდიოდი ყველა მუნიციპალიტეტში, პირადად მოვინახულე ყველა მუნიციპალიტეტი, მოსახლეობას შევხვდი და დავპირდით ძალიან ბევრი პროექტის განხორციელებას, ამიტომ, მე დავიწყე სიარული რეგიონებში, რომ პირადად გავეცნო პროგრესს, როგორ მიმდინარეობს სამუშაოები, როგორ ხორციელდება პროექტები, ვხვდები მოსახლეობას, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს განვითარების ტემპების აჩქარება, მომატება მთელი ქვეყნის მასშტაბით და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ვიზიტი აჭარაში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქობულეთში განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ დაიწყო ქობულეთში ახალი ბულვარის მშენებლობა, რომელიც პირველ ეტაპზე არის დაახლოებით 1-კილომეტრიანი და შემდეგ ის ჩავა ბობოყვათამდე.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში ქობულეთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, ქობულეთში, მდინარე აჭყვადან მდინარე კინტრიშამდე მდებარე სანაპირო ზოლის 885 მეტრის სიგრძის გამყოფი კედელი, 900 მეტრის სიგრძისა და 2.5 მეტრის სიგანის ველო ბილიკი და 4 მეტრის სიგანის საფეხმავლო ბილიკი ეწყობა.

საფეხმავლო ბილიკის მიმდებარედ გათვალისწინებულია კომერციული ზონების, რეკრეაციული, საბავშვო და სპორტული ზონების მოწყობა ატრაქციონებითა და პლაჟის ფეხბურთის მოედნით. რეაბილიტირებულ სივრცეში მოეწყობა ადაპტირებული სანიტარული კვანძები, ხოლო ძველ ბულვართან დასაკავშირებლად აშენდება საფეხმავლო ხიდი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლერი ბარნაბიშვილმა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზოიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქედაში მშრალი ხილის საწარმო „კერკი“ დაათვალიერა. მთავრობის მეთაური საწარმოს მფლობელებს და დასაქმებულებს გაესაუბრა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მსგავსი ტიპის საწარმოების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, ასევე ადგილზე წარმოების განვითარების თვალსაზრისით.

„კერკი“ ხუთი სახის პროდუქციას – ჩირს, ტყლაპს, ჩურჩხელას, ცუკატს და თხილეულს აწარმოებს. საწარმო 2021 წელს ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამების, სოფლის განვითარების სააგენტოს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგროსერვის ცენტრის, ასევე ევროკავშირის, იუსაიდის და „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით.

საწარმოს ინვესტიციის სრული მოცულობა 750.000 აშშ დოლარია, დასაქმებულია 30-ზე მეტი ადგილობრივი.

საწარმოში პრემიერ-მინისტრთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი იმყოფებოდნენ.

ლევან ხაბეიშვილი: „ძალიან მძიმე პოლიტიკური რეალობა ელოდება „ქართულ ოცნებას“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ხაბეიშვილის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ ძალიან მძიმე პოლიტიკური გზაფხული ელოდება.

მან 2 აპრილს ბათუმში ჩატარებული შუალედური არჩევნები შეაფასა და აღნიშნა, რომ ბრძოლა იყო უთანასწორო.

– საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ეს ოლქი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამარჯვებული იყო, ყველამ კარგად იცის, რომ ფაქტობრივად კოლეგა მოგვიკლეს, ყველამ კარგად იცის, რომ ბათუმი არის ოპოზიციური ქალაქი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წააგო, ამის შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რომ მათ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

ამ არჩევნებში ჩვენი გარდაცვლილი კოლეგის ოჯახის წევრი მონაწილეობდა, რომელთან ერთადაც შევედით უთანასწორო ბრძოლაში. ცხადი იყო, რომ 14 საარჩევნო უბანზე ე.წ. არჩევნები არ და ვერ ჩატარდებოდა რუსული „ოცნების“ პირობებში, ჩვენ ვნახეთ ასეულობით გადმოწერილი მოქალაქე, რომლებიც წინა არჩევნებზე სხვა ოლქებში აძლევდნენ ხმებს.

ცხადია, ჩვენ არც ერთ ბრძოლაზე არ ვაპირებთ უკან დახევას, სადმე დამალვას, ყველა უთანასწორო ბრძოლაში ვიქნებით რუსულ ხელისუფლებასთან. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, გაზაფხულზე ძალიან მძიმე პოლიტიკური რეალობა ელოდება „ქართულ ოცნებას“, დარწმუნებული ვარ, რუსული ხელისუფლების დასრულების ავანგარდში იქნება ბათუმიც.

ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ „ოცნება“ დასრულდეს ძალიან სწრაფად, ეს არის თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი საქმე მარტივი მიზეზით – ეს ხელისუფლება არის ანტისახელმწიფოებრივი, რომელმაც ფაქტობრივად ყველა სტრუქტურა და მექანიზმი ჩამოშალა, ისინი აღარც მალავენ, რომ კრემლიდან იმართებიან, მოისმინეთ მდინარაძის, დავითულიანის განცხადება და ეჭვი არც თქვენ არ შეგეპარებათ.

ამიტომ, დარწმუნებული ვართ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დამარცხების ავანგარდში იქნება ბათუმიც, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

თებერვალში იპოთეკური და ავტოსესხი გაძვირდა

2022 წლის თებერვალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზოგიერთ საბანკო პროდუქტზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა, ზოგიერთზე კი შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შინამეურნეობებისთვის გაძვირდა იპოთეკური და ავტოსესხი, ლომბარდული და სამომხმარებლო კი შემცირდა.

როგორია შინამეურნეობებისთვის გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი (თებერვლის სტატისტიკა):

იპოთეკურ სესხები – 12,24% (2021 წელი – 10,72%)
ავტოსესხი – 25,49% (2021 წელი – 22,71%)
ლომბარდული სესხი – 18,53% (2021 წელი – 19,72%)
სამომხმარებლო სესხი – 19,19% (2021 წელი – 20%)
სამომხმარებლო სესხი – უზრუნველყოფილი – 13,51% (2021 წელი – 12,86%)
სამომხმარებლო სესხი – არაუზრუნველყოფილი – 20,67% (2021 წელი – 22,05%)

რაც შეეხება ზოგადად საპროცენტო განაკვეთებს, 2022 წლის თებერვალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ლარში გაცემულ სესხებზე გაიზარდა, უცხოური ვალუტაში კი შემცირდა.

კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15,3%-დან 16,4%-მდე მოიმატა. ამავე მაჩვენებლების მიხედვით, სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ყველაზე მეტად იურიდიული პირებისთვის ეროვნულ ვალუტაში გაცემულ კრედიტებს შეეხო.

2021 წლის თებერვლის მონაცემებით, იურიდიული პირების სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 11,7%-ს, ხოლო 2022 წლის თებერვალში უკვე 13,3%-ს. ფიზიკური პირების შემთხვევაში კი საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ 18%-დან 18,5%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, აქ კლება ფიქსირდება, თუმცა, მინიმალური. კერძოდ, სებ-ის სტატისტიკით, 2022 წლის თებერვალში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 6,4%-ს, ერთი წლით ადრე კი ეს მაჩვენებელი 6,5% იყო. ამასთან, იურიდიული პირებისთვის განაკვეთი 6,7%-იან ნიშნულზე დარჩა, ფიზიკური პირების სესხებზე განაკვეთი კი 6,2%-დან 5,5%-მდე შემცირდა.

ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებაში ევროკავშირი ჩაერთო

რატომ აღიქვამენ რუსეთში აზერბაიჯანსა და თურქეთს არამეგობრულ სახელმწიფოებად

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა მსოფლიოს ყურადღება გადატანილია უკრაინაში მიმდინარე ომისკენ, გააქტუალურდა ყარაბაღის საკითხი. მოხდა გამწვავებაც და დიალოგის დაჩქარებაც.

რამდენიმე დღის წინ სიტუაცია დაძაბა იმან, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები შევიდნენ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ფარუხის დასახლების მიმდებარედ აღმართეს თავიანთი საგუშაგო. მოგვიანებით მათ ეს ტერიტორია დატოვეს. მომხდარი დღესაც განხილვის საგანია. ეს ქმედება მიიჩნევა სიტუაციის ყველაზე დიდ გამწვავებად ყარაბაღის ომის დამთავრების შემდეგ. გასაკვირი არაა, რომ ამას მოჰყვა ანტიაზერბაიჯანული გამონათქვამები და მუქარები რუსი პოლიტიკოსების მხრიდან. კრემლის პოზიცია ჯერჯერობით თავშეკავებულია.

ახალი სამშვიდობო პერსპექტივები

6 აპრილს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სომხეთის პრემიერი ნიკოლ ფაშინიანი ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდებიან. საუბარი გაიმართება ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, საქართველოსთვის კარგად ნაცნობი შარლ მიშელის შუამავლობით. მარტის ბოლოს ბაქოსა და ერევანში (ასევე თბილისში) იმყოფებოდა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზბიგნევ რაუ. მან მხარეებს ერთმანეთის წინადადებები და პოზიციები გააცნო.

გავრცელებული ინფორმაციით, ერევანი თანხმდება ბაქოს ინიციატივებს. მისი წინადადებები ასეთია: მხარეები აღიარებენ ერთმანეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; ადასტურებენ ტერიტორიული პრეტენზიების უქონლობას ერთმანეთის მიმართ; საერთაშორისო ურთიერთობებში უარს ამბობენ დაემუქრონ ერთმანეთის უსაფრთხოებას; განახორციელონ დელიმიტაცია და დემარკაცია, დაამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობებს, აგრეთვე გახსნიან და ააგებენ სატრანსპორტო კომუნიკაციებს.

მოახერხებენ თუ არა საქართველოს მეზობლები ევროსტრუქტურების მონაწილეობით საბოლოოდ ამ საკითხებზე შეთანხმებას, მალე გამოჩნდება. რუსეთი, ჯერჯერობით, ყარაბაღისთვის იცლის. ამას ადასტურებს 1 აპრილს გამართული სატელეფონო საუბარი ფაშინიანსა და პუტინს შორის.

ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთისა და სომხეთის ლიდერებმა ისაუბრეს სტაბილურობაზე სამხრეთ კავკასიაში. კერძოდ, ყარაბაღში. აღინიშნა რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიღწეული შეთანხმებების შესრულების აუცილებლობა. შეთანხმებები გაფორმდა 2020 წლის 9 ნოემბერს, ასევე 2021 წლის 26 ნოემბერსა და 11 იანვარს.

რუსეთში აზერბაიჯანსა და თურქეთს ერთნაირად ნეგატიურად მოიხსენიებენ

აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ნაბიჯის გამო რუსეთში ბევრი გესლი გადმოინთხა. პოლიტიკოსებმა არ დაინდეს თურქეთიც, მიუხედავად იმისა, რომ ანკარა საერთაშორისო ანტირუსული სანქციების საკითხში მოსკოვის მიმართ ლოიალურია. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის (ეს პარტია კრემლის გზავნილებს ხშირად ახმოვანებს) ერთ-ერთი ლიდერი ალექსეი შერინი სიტუაციას ასე განმარტავს:

– აზერბაიჯანი შეეცადა, დაეშანტაჟებინა რუსეთი, რომელსაც ძირითადი საშუალებები და ძალები უკრაინაში ჰყავს გადასროლილი. ვინც

სომხეთის ოპოზიცია ერევანში აქციებს აანონსებს

ფიქრობს, რომ სხვა რამისთვის არ გვცალია, ცდება. რუსეთის ფედერაციას საკმარისი საშუალებები და ძალები აქვს, რომ ადეკვატურად უპასუხოს ყველა გამოწვევასა და საფრთხეს საზღვრისპირა რეგიონებში.

პოლიტიკოსმა აზერბაიჯანს მოძმე თურქეთთან სამხედრო თანამშრომლობაც წამოაძახა:

– სომხეთი „ოდკბ“-ს (კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია) წევრია. აზერბაიჯანმა მასში შესვლა არ ისურვა. მან ორმხრივი შეთანხმებები დადო ნატოს წევრ თურქეთთან. თურქეთი ის სახელმწიფოა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ჩვენი თვითმფრინავების ჩამოგდების შესახებ. თურქეთი არასდროს ყოფილა, არ არის და ვერ იქნება რუსეთის მეგობარი სახელმწიფო. შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც სამხედრო ალიანსს შეკრავს თურქეთთან, არამეგობრულია.

რატომ ბობოქრობს სომხეთის ხელისუფლების ოპოზიცია

ნიკოლ ფაშინიანის ოპოზიცია მიიჩნევს, რომ პრემიერი აზერბაიჯანისა და თურქეთის მოთხოვნებს ასრულებს და ღალატობს სომხეთს. ერევანში ოპოზიცია მუდმივად ბობოქრობდა ყარაბაღის ომში სომხეთის დამარცხების გამო. შესაძლოა, ფაშინიანის ოპონენტებისათვის ცეცხლზე ნავთის დასხმაა ბრიუსელში დაგეგმილი მოლაპარაკებები და ერევნის დათანხმება ბაქოს წინადადებებზე.

ოპოზიცია (ბლოკები „მშვიდობა“ და „მაქვს პატივი“) ხალხს 5 აპრილს ერევანში თავისუფლების მოედანზე პროტესტის გამოსახატავად ეპატიჟება.

– მხარს ვუჭერთ ყარაბაღს. ვიღებთ ვალდებულებას შევინარჩუნოთ საკუთარი ღირსება, სამშობლო, მომავალი. მიგვიყვანეს ზღვრამდე, რომლის იქით შეუქცევადი ეროვნული დამცირება და სუვერენიტეტის დაკარგვაა. ყარაბაღის დაცვით დავიცავთ სომხეთს, – აცხადებს ოპოზიცია.

ყარაბაღის ომის შემდეგ ბევრი პრობლემა დარჩა. პარტნიორები აზერბაიჯანს დანაღმული ადგილების განაღმვაში ეხმარებიან. ევროკავშირმა ამ მიზნით გამოყო 2, 3 მილიონი ევრო. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ მომავალი, 2023 საფინანსო წლისათვის აზერბაიჯანს უნდა გამოეყოს 9, 7 მილიონი დოლარი. ძირითადად, ესაა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დახმარება აზერბაიჯანის „კორპუსი 333“-ის პოტენციალის გაზრდისათვის. ბაიდენისვე რეკომენდაციით, სომხეთმა 2023 წელს უნდა მიიღოს 24 მილიონი დოლარი.

უკრაინაში მიმდინარე ომი ამძაფრებს და აჩქარებს პროცესებს რეგიონში. ბოლოდროინდელი პროცესები აჩვენებს, რომ რუსეთს საქართველოს სამეზობლოში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.

„ევროსასამართლოში შეტანილი სააკაშვილის საჩივარი მხოლოდ პიარის საშუალებაა“



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი ზეპირ ბრძანებებს გასცემდა მერაბიშვილის დონეზე. მერაბიშვილი კიდევ ვიღაცას ზეპირად გადასცემდა და ა.შ.“

გულიკო ბალაძე

– ბატონო პეტრე, სტრასბურის სასამართლომ სააკაშვილის საქმე განსახილველი საქმეებიდან ამორიცხა. ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რეალურად, არანაირი სასტიკი თუ ცუდი მოპყრობა, რასაც სააკაშვილი ხელისუფლებას აბრალებდა, არ იყო. მეტსაც გეტყვით, ვერ წარმომიდგენია დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობაა, რომ პატიმრისთვის ასეთი პირობები შეექმნათ, მას კი გაელანძღა ბადრაგი თუ ციხის თანამშრომლები, როგორც სააკაშვილმა გალანძღა და მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მათ, როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური. გვახსოვს, რას ეძახდა იმ ადამიანებს – სამშობლოს მოღალატეობასაც სწამებდა, პუტინისტებს უწოდებდა.

რა არ უწოდა და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, რაც კადრებში ყველამ ვნახეთ. მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, მსგავს ქმედებას კანონის შესაბამისად მაშინვე აღკვეთდნენ, პატიმარი დამატებით მიიღებდა კარცერს, ან სხვა რაიმე სასჯელს. მსგავს საქციელს არავინ აპატიებდა.

– სააკაშვილი სხვა საქმეებზეც დავობს, რომელიც ევროსასამართლომ განსახილველად მიიღო. ერთი, გირგვლიანის მკვლელებისთვის ციხეში განსაკუთრებული პირობების შექმნასა და შეწყალებას ეხება, მეორე კი – დეპუტატ გელაშვილზე თავდასხმის საქმეს.

– იმედი მაქვს, სხვა საქმეებზე ხელისუფლება სრულყოფილ მასალებს წარადგენს. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, როგორ მოქმედებდა სააკაშვილის სადისტური სისტემა. კარგად ვიცით, რომ გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს, სააკაშვილის ნებართვისა და ნების გარეშე, იმ პირობებს ვერ შეუქმნიდნენ, რაც შეუქმნეს.

გელაშვილის მიმართ სასტიკი ფიზიკური ანგარიშსწორება ლეტალური შედეგით რომ არ დამთავრდა, მისი ფიზიკური მომზადებიდან გამომდინარეა. გელაშვილი არ დაიღუპა, რადგან სპორტსმენი იყო. ამან უშველა, თორემ მისი პირდაპირი დავალებით, ცემით კლავდნენ. გირგვლიანი სააკაშვილის დავალებით არ მოუკლავთ.

– თუმცა, მკვლელებს ხელი დააფარა და გირგვლიანის საქმეზე ევროსასამართლოს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება. ასევე არაერთი საჩივარი შევიდა ევროსასამართლოში სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ წამებებსა და მკვლელობებზე, რაზეც გამტყუნდნენ. ეს ფაქტები სააკაშვილის საჩივრების განხილვისას მოსამართლეების შეხედულებებზე არ იმოქმედებს?

– იმოქმედებს. გირგვლიანის საქმეზე სტრასბურს უმძიმესი დასკვნა აქვს გამოტანილი. აღნიშნული დასკვნა, სააკაშვილის სადისტური სისტემისთვის, ფაქტობრივად, განაჩენი იყო. განაჩენში აღინიშნა: სტრასბურის სასამართლო გაოგნებულია იმით, რომ ხელისუფლების სამივე შტო – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, უზრუნველეყოთ დამოუკიდებელი გამოძიება და, შესაბამისად, დამნაშავეების დასჯა, ერთ მუშტად შეკრული იყო დანაშაულის დასაფარავად. ეს განაჩენი ძალაშია. შესაბამისად, გირგვლიანის საქმე სტრასბურში ძალიან კარგად იციან, ამაზე განაჩენი აქვთ გამოტანილი.

– ამათაც ხომ იციან, რომ ევროსასამართლოს გირგვლიანის საქმეზე განაჩენი აქვს გამოტანილი, ხომ იციან, რაც იყო და როგორც მოქმედებდნენ. რას ემსახურებოდა ასეთ სიტუაციაში სტრასბურის სასამართლოში საჩივრის შეტანა?

– სტრასბურის სასამართლოში შეტანილი საჩივარი იმ მომენტში პიარის საშუალებას აძლევთ. ილაპარაკებენ, აი, ევროსასამართლოში საჩივარი შევიტანეთ, აი, უკვე სტრასბურმა სარჩელი მიიღო. ეს მათთვის სალაპარაკო თემა, პიართემაა. ეს პიართემა მათ მომხრეებზე მოქმედებს, სხვებზე – არა. ყოველ შემთხვევაში, ეგებ იმის იმედი აქვთ, რომ სააკაშვილს გირგვლიანის მკვლელობაზე ბრძანება არ გაუცია, მერე გაიგო და მერე გასცა ბრძანებები, საქმე დაფარულიყო.

– ანუ მკვლელებისა და დანაშაულის მფარველი გამოდის.

– რა თქმა უნდა, მკვლელებს ხელი დააფარა. ყველას გვახსოვს, რომ თავისუფალ ტელევიზიებში ვიდეოებმა გაჟონა – ზონიდან ჯიპებით როგორ ამოჰყავდათ რეგულარულად ეს პატიმრები და მერე როგორ აბრუნებდნენ. ერთი მათი მეზობელი და ჩემი ბავშვობის მეგობარი მეუბნებოდა, აშენდა ეს კაცი და მისი ოჯახი – შაბათკვირას ოჯახშია, მას ახალი მანქანა ჰყავს, ცოლს – ქურქი და ა.შ. ამ პირობით ჩასვა მერაბიშვილმა ისინი ციხეში – ყველა პირობა შეუქმნეს.

მერაბიშვილი შეჰპირდა, ციხეში ცოტა ხანი იქნებითო. თბილისში ამბები გავრცელდა, ცუდ საქმეებს ისევ ამ ჯგუფს ავალებდნენ (ალანიას ჯგუფს ეძახდნენ). ოფიციალურად ზონაში იმყოფებიან და ალიბიც აქვთო.

როცა თბილისში ასეთი ამბები ვრცელდება, წარმოიდგინეთ, ხალხს რა წარმოდგენა ექმნება პოლიციაზე მაშინ, როდესაც ამ პოლიციელებს ხელისუფლება უმძიმესი დანაშაულობებისთვის იყენებს, ანუ რაც უნდა ჩაიდინოს ხელისუფლებამ, ისინი ოფიციალურად ციხეში რომ არიან, ვიღაცისთვის ალიბია.

– გელაშვილზე თავდასხმის საქმეზე, რისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ?

– გელაშვილის ცემა და სიკვდილის პირამდე მიყვანა პირდაპირი დავალება იყო. ამ შემთხვევაში ძალიან რთულია დამტკიცება.

– როგორ?

– საბუთი არ არსებობს. ცხადია, სააკაშვილს წერილობითი ბრძანება არ გაუცია, ზეპირი ბრძანება გასცა. სააკაშვილი ზეპირ ბრძანებებს გასცემდა მერაბიშვილის დონეზე. მერაბიშვილი კიდევ ვიღაცას ზეპირად გადასცემდა და ა.შ. ვინ დაადასტურებს იმას, რომ გელაშვილის ცემის ბრძანება სააკაშვილმა გასცა. ეს შეიძლება თქვას მერაბიშვილმა, მაგრამ მერაბიშვილმა ხომ უნდა დაამტკიცოს, რომ ბრძანება სააკაშვილმა გასცა.

– ანუ გელაშვილზე თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით, სააკაშვილმა რაღაცას შეიძლება მიაღწიოს?

– არა მგონია, სააკაშვილმა რაიმეს მიაღწიოს, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებას არანაირი გამოძიება არ ჩაუტარებია. გამოძიებულია, ვინ სცემა გელაშვილს?!

– სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, არა.

– უშუალო საბუთიც არ არის, რომ სააკაშვილმა ბრძანება გასცა, მაგრამ საქმე გამოძიებული რომ არ არის, ეს უკვე პირდაპირ მანიშნებელია ჩადენილი დანაშაულისა. ლოგიკით ცხადია, როცა პოლიციას ავალებენ, პოლიციას ვინ დაავალებდა. ამიტომ მე იმედიანად ვარ, რომ გელაშვილის საქმეზეც სიმართლე გაიმარჯვებს.

მიხეილ სააკაშვილი: „რა საცოდავი იყო იუსტიციის სამინისტრო“



– რა საცოდავი იყო იუსტიციის სამინისტრო, ჩემივე თხოვნით ამორიცხულ ერთ-ერთ სარჩელზე, რომელიც სასამართლომ დამიკმაყოფილა 10 თებერვალს, გნიასი რომ მორთეს, გავიმარჯვეთო.

ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებაშია აღნიშნული, რომელიც მის ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა.

სააკაშვილის განმარტებით, სინამდვილეში, მისი სარჩელი ბოლომდე მიღებულია.

„მთავრობის არც ერთი არგუმენტი სასამართლომ არ გაიზიარა“ და სულ რამდენიმე თვეში ველოდები სასამართლოს სრულ ზეიმს სტრასბურიდან. ამას, დარწმუნებული ვარ, წინ ვერაფერი დაუდგება, – აცხადებს სააკაშვილი.

ცნობისთვის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ბექა ძამაშვილის განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხა მიხეილ სააკაშვილის საჩივარი, რომელიც პენიტენციურ სისტემაში მის მკურნალობას და მის მიმართ მოპყრობას შეეხებოდა.

„სტრასბურის სასამართლოს შეფასებით, ამ საქმეში არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რომლის გამოც საჭირო იქნებოდა საკითხის დამატებითი შესწავლა“ – განაცხადა ძამაშვილმა.

2012 წლიდან დღემდე ბათუმის საზღვაო აკადემიის განვითარებაში სახელმწიფომ 30 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ბათუმის საზღვაო აკადემიის ახალი სამწვრთნელო ცენტრი დაათვალიერა. პრემიერს აკადემიაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა თამარ იოსელიანმა უმასპინძლა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, 2012 წლიდან დღემდე სახელმწიფომ 30 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელა ბათუმის საზღვაო აკადემიის განვითარებაში.

პრემიერის თქმით, აკადემია შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო საზღვაო სასწავლებელია.

მეზღვაურთა საწვრთნელ ცენტრს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. შეიცვალა კომპიუტერული ტექნიკა და განხორციელდა არსებული სიმულატორების პროგრამული განახლება. დადებული ხელშეკრულების თანახმად, საერთაშორისო კომპანია სამი წლის განმავლობაში გაუწევს ტრენინგ-ცენტრს პროგრამულ უზრუნველყოფას და ავტომატურ რეჟიმში განაახლებს პროგრამებს.

დღეისათვის, შავი ზღვის რეგიონში არც ერთ მეზღვაურთა ტრენინგ-ცენტრს არ გააჩნია უახლესი, 6.0 მოდელის პროგრამები, რომლებიც დახვეწილი ვიზუალიზაციით, დეტალურობით და ეფექტებით გამოირჩევა, რაც წვრთნების რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. სიმულატორებზე შესაძლებელია ყველა ტიპის და სირთულის პრაქტიკული დავალებების შესრულება.

თბილისში ლაგუნა ვერესთან 2 ადამიანი მოკლეს, დაჭრილია 5

სისხლიანი გარჩევა ბიზნესის გამო

2 აპრილს თბილისში, ლაგუნა ვერეს უკან, 2 ადამიანი მოკლეს.

ურთიერთშელაპარაკებისას 5 ადამიანია დაჭრილი.

სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი ფულის განაწილება გახდა.

ვერაზე კრიმინალური გარჩევა ორ ჯგუფს შორის მოხდა. ერთმანეთს კანონიერი ქურდი დავით ყალიჩავას და კრიმინალური ავტორიტეტის ლევან მარღიას მხარეები დაუპირისპირდნენ. კრიმინალური გარჩევა დავით ყალიჩავას წარმომადგენელმა, ზუგდიდელმა ავტორიტეტმა ხვიჩა ცხაკაიამ დაგეგმა.

გარჩევა დავით შენგელიას ბიზნეს საქმიანობას უკავშირდება, რომელსაც ბიზნესში წილს ლევან მარღია სთხოვდა. შენგელიამ დასახმარებლად თურქეთში მყოფ ყალიჩავას მიმართა, ყალიჩავამ კი საქმის მოგვარება ხვიჩა ცხაკაიას დაავალა.

სისხლიან გარჩევაში ათამდე ადამიანი მონაწილეობდა. ყველა გაქცეულია. პოლიცია მკვლელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებს.

„პირველების“ ინფორმაციით, დაჭრილია ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, გიორგი ქობულიას, ძმაც.

დაჭრილებს შორისაა ხვიჩა ცხაკაიაც, რომელიც ახლა რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, გარჩევაში მონაწილეობდა რუსეთში მყოფი კანონიერი ქურდიც, თუმცა მისი ვინაობა არ სახელდება.

საგამოძიებო მოქმედებები ახლაც გრძელდება.

შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 109-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებას და განზრახ მკვლელობას გულის-ხმობს.

ქუთაისში ტიტე კორძაძის მკვლელობის ფაქტზე 27 წლის ქალი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ს.ყ. თერჯოლის მუნიციპალიტეტში დააკავეს. მას ბრალად განზრახ მკვლელობა ედება.

დანაშაული თავისუფლების 7-დან 15 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალმა, მიმდინარე წლის 31 მარტს, ქუთაისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში, კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ურთიერთშელაპარაკებისას, მეგობარ მამაკაცს – 1997 წელს დაბადებულ ტიტე კორძაძეს ცივი იარაღის გამოყენებით კისრის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ს.ყ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. საქართველოს პროკურატურამ ქუთაისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტზე ს.ყ.-ს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 31 მარტს, ქუთაისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში ს.ყ.-მ მომხდარი კონფლიქტის გამო, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, დანის გამოყენებით გულ-მკერდის უკანა ზედაპირზე დაზიანება მიაყენა ტ.კ.-ს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ს.ყ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პროკურორი ფუხაშვილი: „შარტავაზე ავარიისთვის დაკავებული დავით ჯალაღონია ნარკოტიკს მოიხმარდა“

პროკურორ ემზარ ფუხაშვილის ინფორმაციით, შარტავას ქუჩაზე მომხდარი ავარიის შედეგად, არასრულწლოვნის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე ბრალდებული დავით ჯალაღონია სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე გადაიყვანეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მას ნარკოტიკული ნივთიერება წარსულში ჰქონდა მოხმარებული, მაგრამ შემთხვევის დროს ნარკოტიკული ნივთიერების თრობის ქვეშ არ იმყოფებოდა.

როგორც პროკურორმა ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, თავად ჯალაღონიას თქმით, ნარკოტიკული ნივთიერება ავტოსაგზაო შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე მოიხმარა.

– პროკურატურამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წაყენებული არგუმენტები გაიზიარა და ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა. ბრალდებული ითხოვდა აღკვეთი ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას, მაგრამ აღნიშნული არ იყო გაზიარებული. ბრალდებულს განემარტა მისი უფლებები, რომ შეეძლო ესარგებლა დაცვის უფლებით, მაგრამ ამ ეტაპზე უარი განაცხადა ადვოკატის აყვანაზე.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული იყო ის საფრთხეები, რომლებითაც ვასაბუთებდით პატიმრობის გამოყენებას. ეს იყო მიმალვის საფრთხე მოსალოდნელი სასჯელის შიშით, ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბრალდებული წარსულში არაერთხელ იყო დაჯარიმებული ადმინისტრაციული სასჯელის სახით, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ ბრალდებული გადაყვანილი იყო ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე, რომლითაც დადგინდა, რომ მას მოხმარებული ჰქონდა ნარკოტიკული ნივთიერება, მაგრამ შემთხვევის დროს არ იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. მისივე განმარტებით, ნარკოტიკი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე მოიხმარა“ – აღნიშნა ემზარ ფუხაშვილმა.

სუსის ხელმძღვანელმა მთავარ არხს, ფორმულას და ლევან ხაბეიშვილს სასამართლოში უჩივლა

საქალაქო სასამართლო „მთავარი არხის“, „ფორმულასა“ და ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელის განხილვას იწყებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მის წინააღმდეგ გავრცელებულ ინფორმაციას, „ქოლცენტრების მფარველობის“ შესახებ, ცილისწამებად აფასებს.

„მთავარი არხის“ იურისტის შეფასებით, ტელეკომპანიების წინააღმდეგ დაწყებული საქმე კიდევ ერთი დასტურია, რომ მედიაზე ზეწოლა გრძელდება.

– სუს-ს ზოგადად აქვს წამოწყებული კამპანია კრიტიკული არხების წინააღმდეგ, ჩვენ წინააღმდეგ, მაგალითად, არაერთი საჩივარია, მათ შორის საინტერესოა, რომ სუს-ის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, ეჩივლა „მთავარი არხისთვის“ მიუხედავად იმისა, რომ მას როგორც საჯარო, მაღალი თანამდებობის პირს, აქვს თმენის ვალდებულება. ის არ გადადგამდა ამ ნაბიჯს, რომ არ იყოს ეს წინასწარ გავლილი სასამართლოსთან. ამიტომ ახლა სასამართლო დაამტკიცებს რეალურად, ის არის დამოუკიდებელი თუ არა, – თქვა თამთა მურადაშვილმა.

ლევან ხაბეიშვილი ამბობს, რომ ლილუაშვილი არ შეუწუხებია არც ე.წ. კრებსების გავრცელებას, არც მოსმენების საქმეს, შეაწუხა მხოლოდ ტრანსნაციონალურ დანაშაულში მხილებამ.

მისივე თქმით, ყველაფერს გააკეთებს, რომ ის საერთაშორისო სამართლის წინაშე წარდგეს.

მამაკაცი ცოლს აუპატიურებდა და შვილებთან გარყვნილ ქმედებას ანარმოებდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული დ.გ. დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

მას ბრალად ედება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მეუღლის გაუპატიურება, არასრულწლოვნის თანდასწრებით მეუღლის არაერთგზის ცემა, მუქარა, თვითმკვლელობამდე მიყვანა და წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი შვილების მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედება.

დანაშაულები 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ბრალდებული დ.გ. საკუთარ მეუღლეზე –1993 წელს დაბადებულ თ.ც.-ზე. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სისტემატურად ძალადობდა. გარდა ამისა, ბრალდებული მეუღლეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა, ხოლო არასრულწლოვანი შვილების მიმართ გარყვნილ ქმედებებს ახორციელებდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'-137 – მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 11'-126 -ე მუხლის მე– 2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 11'-151 -ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 11'-115 -ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 11'-141 -ე მუხლის მე– 2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – ნათქვამია განცხადებაში.

თბილისში საქართველოს ბანკი დააყაჩაღეს

1 აპრილს თბილისში, სამგორის რაიონში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალში ყაჩაღობა მოხდა. ნიღბიანმა კაცმა ბანკიდან ფული წაიღო.

ფილიალთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრები მოქალაქის განცხადებით, ისმოდა სროლის ხმაც.

წინასწარი ინფორმაციით, სამი თავდამსხმელი იყო. სავარაუდოდ, პოლიციელების მხრიდან სროლისას ერთ-ერთი ფეხში დაიჭრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, აფრიკის დასახლებაში მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, წარსულში ნასამართლევი 2 პირი: 1992 წელს დაბადებული დ.ბ. და ამავე წელს დაბადებული გ.ჟ. დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შს სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და პისტოლეტით შეიარაღებული ბრალდებულები მიმდინარე წლის 1 აპრილს, საღამოს, თბილისში, აფრიკის დასახლებაში მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალში შეიჭრნენ.

ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოლარე-ოპერატორს ფული გასტაცეს, როდესაც დაცვის პოლიციის თანამშრომელმა, დანაშაულის აღკვეთის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა.

ორივე თავდამსხმელი მსუბუქად დაიჭრა, თუმცა ბრალდებულებმა ბანკის ტერიტორიის დატოვება მოახერხეს, ჩასხდნენ იქვე მდგომ ავტომობილში და იარაღის მუქარით აიძულეს მძღოლი, რომ ისინი კონკრეტულ მისამართზე წაეყვანა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რამდენიმე საათში დაადგინეს თავდამსხმელების ვინაობა და ადგილმდებარეობა.

პოლიციამ ორივე მათგანი მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავა.

ბრალდებულების დაკავების ადგილას, საცხოვრებელი ბინის ფარდულის ჩხრეკისას ამოღებული იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღები, ხოლო ავტომანქანიდან, რომლითაც თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს, ამოღებულია ბანკიდან წაღებული ფულის ნაწილი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

„დაუღრიალა, გამოეთრიეო, ერთხელ სახლიდან ხალათით და ჩუსტებით გააგდო“

რას ამბობს ნიკა ბასილაშვილზე ყოფილი სიდედრი

თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმეზე მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა. მას შემდეგ, რაც მოწმის სახით დაკითხვისას, ბასილაშვილის სიდედრმა მაკა სიმონიშვილმა აღნიშნა, რომ ყოფილი სიძე მის შვილს შეურაცხყოფას ხშირად აყენებდა, ნიკოლოზ ბასილაშვილმა განაცხადა, რომ „ეს მისთვის ძალიან რთული მოსასმენია“ და უკვე „ორი წელია, რაც ჯოჯოხეთში ცხოვრობს“.

– დაუღრიალა, გამოეთრიეო, ყველა ჩვენ გვიყურებდა, გაბრაზებული საბანკო ბარათს უბლოკავდა, კარგ ხასიათზე – უხსნიდა, ერთხელ სახლიდან ხალათით და ჩუსტებით გააგდო, – ბასილაშვილის ყოფილი სიდედრი ჩოგბურთელზე ალაპარაკდა.

ბასილაშვილმა, რომელიც პროცესს დისტანციურად ერთვება, ეს განცხადება მისი სიდედრის დაკითხვის დროს გააკეთა:

– ძალიან რთული მოსასმენია ეს ჩემთვის, 2 წელია, ჯოჯოხეთში ვცხოვრობ, – მიმართა ბასილაშვილმა მოსამართლე ხათუნა ხარჩილავას, რაზეც მას მოსამართლემ უპასუხა:

– ვისმენთ და ბოლოს ვაფასებთ, უნდა მოისმინოთ.

ბასილაშვილმა კი აღნიშნა, რომ რასაც უსმენს, ვერ გაუძლებს:

– ძალიან რთულია ჩემთვის ამის მოსმენა, ჩემი უფლებები არ მაქვს, როგორც ადამიანს? რასაც ვუსმენ, ვერ გავუძლებ.

– თქვენი უფლება, რა? მოწმე გავაჩერო და ჩვენება აღარ მივაცემინო? უფლებას რას ეძახით? უნდა მოუსმინოთ და თუ რამეში არ ეთანხმებით, კითხვა დაუსვით, – აღნიშნა მოსამართლემ.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

ნარკოდანაშაულისთვის უკრაინის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე კ.ლ. დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედება.

„დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მიმდინარე წლის თებერვლიდან, დროებით მცხოვრები უკრაინის მოქალაქე კ.ლ. მოხმარების მიზნით ნარკოტიკულ საშუალებებს უკანონოდ იძენდა და ინახავდა. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „ლიზერგიდი“, ასევე, 400 ლარი და 1200 აშშ დოლარი. ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოღებულია 1 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰაშიში“. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დავით არახამია: „ახლა ჩვენი მიზანია, შევქმნათ ჩვენი ნატო“

– ახლა ჩვენი მიზანია, შევქმნათ ჩვენი ნატო.

ამის შესახებ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებში უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელმა და ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარემ, დავით არახამიამ, განაცხადა.

მისი განმარტებით, დიდი ალბათობით, გარანტორი ქვეყნების ჩამონათვალს ამერიკის შეერთებული შტატებიც შეუერთდება.

– აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი წინააღმდეგი არ არის, განიხილოს უსაფრთხოების გარანტიების მექანიზმები, თუმცა სურთ, უფრო ახლოს გაეცნონ საკითხს და შეაფასონ ყველა რისკი, – განაცხადა არახამიამ.

მისი განმარტებით, უკრაინისთვის მნიშვნელოვანია, რომ გარანტორ ქვეყნებში, ასევე, იყვნენ თურქეთი და გაერთიანებული სამეფო.

ამასთან, როგორც არახამიამ აღნიშნა, უკრაინა არ მოაწერს ხელს არც ერთ დოკუმენტს, სადაც რუსეთის ფედერაციას გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება ექნება.

ფრაქციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რუსული მხარე უკრაინასთან მოლაპარაკებებისას დაეთანხმა იმას, რომ რეფერენდუმი ერთადერთი გამოსავალია ქვეყნის ნეიტრალური სტატუსის გამოცხადების პროცესში.

კითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ უკრაინის მოსახლეობა რეფერენდუმზე მხარს არ დაუჭერს ქვეყნის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას, არახამიამ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში შეთანხმებას არ ექნება იურიდიული ძალა და უკრაინა ან დაუბრუნდება საომარ ვითარებას, ან დაუბრუნდება მოლაპარაკებების ახალ რაუნდს.

იაროსლავ კაჩინსკი: „პოლონეთი მზადაა, საკუთარ ტერიტორიაზე აშშ-ის ბირთვული იარაღი განათავსოს“

– პოლონეთი მზადაა, საკუთარ ტერიტორიაზე აშშ-ის ბირთვული იარაღი განათავსოს.

ამის შესახებ პოლონეთის ვიცე-პრემიერმა იაროსლავ კაჩინსკიმ გერმანულ გამოცემა ველტ ამ ზონტაგთან ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, აშშ-ის ბირთვული რაკეტების პოლონეთში განთავსება მოსკოვს მნიშვნელოვნად შეაკავებდა.

კაჩინსკის განცხადებით, ამერიკელები არ გეგმავდნენ პოლონეთში ბირთვული იარაღის განთავსებას, თუმცა რუსეთის უკრაინაზე თავდასხმამ ეს რეალობა შეცვალა.

პოლონეთის ვიცე-პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ ევროპაში აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი 150.000 ჯარისკაცამდე უნდა გაიზარდოს. ცნობისთვის, ამჟამად ევროპაში 100.000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება.

აშშ-ის ხელისუფლებას მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია.

რუსმა დეპუტატმა დეპარდიესთვის რუსული პასპორტის ჩამორთმევა მოითხოვა

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა, სულთან ხამზაევმა, რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდა, ჟერარ დეპარდიეს რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვან.

მანამდე ჟერარ დეპარდიემ ვლადიმერ პუტინის შეშლილი და მიუღებელი გადახრა დაგმო და განაცხადა, რომ აპრილის დასაწყისში დაგეგმილი მისი სამი კონცერტის მთლიანი შემოსავალი ომით დაზარალებულ უკრაინელებს გადაეცემათ.

– რუსი ხალხი არ არის პასუხისმგებელი ვლადიმერ პუტინის მსგავსი ლიდერების შეშლილ და მიუღებელ გადახრებზე, – აღნიშნა ფრანგმა მსახიობმა.

– მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ჟერარ დეპარდიესთვის პასპორტის ჩამორთმევის აუცილებლობაზე მისი თავხედური თავდასხმებისა და პრეტენზიისთვის ისაუბროს რუსი ხალხის სახელით, – აღნიშნა დეპუტატმა.

ჟერარ დეპარდიეს 2013 წლიდან რუსული პასპორტი აქვს, რომელიც მას პირადად ვლადიმერ პუტინმა გადასცა.

რუსებმა მძევლად ორსული აიყვანეს

ოკუპანტებმა მძევლად აიყვანეს ცნობილი ორსული ქალი, რომელიც მარიუპოლში საავადმყოფოს დაბომბვის შემდეგ მაშველებმა დაშავებული გამოიყვანეს.

ამ კადრებმა მაშინ მთელი მსოფლიო შეძრა.

ქალმა საავადმყოფოს დატოვების შემდეგ რამდენიმე საათში იმშობიარა.

მოხალისეები ცდილობდნენ ახალგაზრდა დედის გადარჩენას და, მისი ახლობლების თხოვნით, უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაყვანას.

მარიუპოლში ლიეტუველი კინორეჟისორი მოკლეს

ლიეტუველი კინორეჟისორი მანტას კვედარავიჩუსი მარიუპოლში გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსი და ლატვიელი დოკუმენტური კინოს რეჟისორი ვიტალი მანსკი ავრცელებს.

„ჩვენი მეგობარი, არტდოკფესტის მონაწილე, ლიეტუველი დოკუმენტალისტი მანტას კვედარავიჩუსი დღეს მარიუპოლში კამერით ხელში მსოფლიოს წინააღმდეგ ბოროტების ამ საზიზღარ ომში მოკლეს“ – განაცხადა მანსკიმ სოციალურ ქსელში.

კვედარავიჩუსი ცნობილია, როგორც ფილმის „მარიუპოლი“ ავტორი. ფირს, რომლის პრემიერაც ბერლინის კინოფესტივალზე შედგა, უწოდეს „ადამიანური ისტორია ისტორიული გადატრიალების ფონზე“.

მომხდარს უკვე გამოეხმაურა ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრო „ტვიტერის“ გვერდზე. უწყების განცხადებით, შოკირებულები არიან ჯილდოების მფლობელი დოკუმენტალისტის გარდაცვალებით, რომელიც მარიუპოლში რუსულ სამხედრო სისასტიკის ამსახველ კადრებს იღებდა.

„დიდი დანაკლისი იქნება ლიეტუვისთვის და მთელი მსოფლიოსთვის“, – ნათქვამია განცხადებაში.

დონეცკში აფხაზეთიდან წასული მოხალისე ჭურვზე აფეთქდა

დონეცკში, ჭურვის აფეთქების შედეგად, აფხაზეთიდან უკრაინაში წასული მოხალისე დაიღუპა.

მედიის ინფორმაციით, დაღუპულია სოფელ კუტოლის მკვიდრი ახრა კირკინაძე. აფეთქება ხუთშაბათს, 31 მარტს მოხდა.

სოფლის ხელმძღვანელის, ვახტანგ კვარაცხელიას ინფორმაციით, კირკინაძესთან ერთად, ოსი და რუსი სამხედროებიც ემსხვერპლნენ აფეთქებას.

ერთი დაღუპული და 31 დაშავებული ბაქოში, ღამის კლუბში აფეთქება მოხდა

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ერთ-ერთ ღამის კლუბში ძლიერი აფეთქება მოხდა.

აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი, 31 კი დაშავდა. დაშავებულების უმეტესობას დამწვრობა აქვს მიღებული.

მომხდარის მიზეზი, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვა გახდა.

შემთხვევის ადგილზე მაშველები მუშაობდნენ.

დაწყებულია გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კვარაცხელია „დაბრუნდა“, ცეცაძეს წყალი შეუდგა

ეროვნული ლიგის მეექვსე ტურში რამდენიმე საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. ჯერ კიდევ არეულ სატურნირო ცხრილში, რაც მარტის თვეში ცუდმა ტაროსმა გამოიწვია, წინასწარ რამის თქმა ნაადრევია. თუმცა, ხვიჩა კვარაცხელიას საქართველოში დაბრუნება განსაკუთრებული სიახლე იყო.

დინამო (ბთ)-თელავი 1:0

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

1:0 მამუჩაშვილი (33ჯ)

დინამო: ალავიძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ფალავანდიშვილი (გ.გაფრინდაშვილი 46), ალთუნაშვილი (ზარია 66), რადინი, ფლამარიონი (ლობჯანიძე 75), ჯიღაური (ჩაბრაძე 84), ფანცულაია (კვარაცხელია 46)

თელავი: სანიკიძე, ფაცაცია (ღაღანიძე 75), თევზაძე, თოლორდავა, კაპანაძე, ქანთარია, მარაქველიძე (მახარობლიძე 46), აშორტია (ფირანიშვილი 75), ქოჩლაძე (ჯიქია 46), პავიშიჩი (მუჯირი 65), გოშთელიანი

გასული წლის ჩემპიონ ბათუმის დინამოში ხვიჩა კვარაცხელიას დებიუტის გამო, გადაჭედილ აჭარაბეთ არენაზე, წასული გუნდი თელავს დაუხვდა და 1:0 დაამარცხა.

ბათუმს ისედაც არ აკლია გულშემატკივრების მხარდაჭერა, ახლა კი მიზეზი ორმაგი იყო, მაგრამ კვარაცხელიას სათამაშოდ მხოლოდ 45 წუთი ერგო. გია გეგუჩაძემ ასე გადაწყვიტა, რადგან 2021 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს დინამოში მხოლოდ ერთი ვარჯიში ჰქონდა გამართული.

შეხვედრაში ერთადერთი გოლი კი, ვლადიმერ მამუჩაშვილმა გაიტანა – ჯოვინო ფლამარიონის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა.

ბათუმის დინამო ამ მომენტისთვის ლიდერია, მაგრამ კონკურენტებს ნაკლები მატჩი აქვთ ჩატარებული. თელავმა კი სეზონში პირველად წააგო.

დინამო (თბ)-ლოკომოტივი 2:1

თბილისი. დინამო არენა

1:0 ანტილევსკი (28), 1:1 ბუიღლიშვილი (42), 2:1 კირკიტაძე (65)

დინამო: პრიეტო, მალი, კალანდაძე, მექვაბიშვილი (ბარნსი 62), მოისწრაფიშვილი, ბილენკი (თ.კირკიტაძე 62), პაპავა, ბენიო, სტეფენი (ხარაბაძე 62), კამარა (ლომინაძე 69), ანტილევსკი (გაბედავა 86)

ლოკომოტივი: ლომიძე, ბუიღლიშვილი, ანდრონიკაშვილი, იაკობიძე (ჭიაბრიშვილი 88), შეყიღაძე (მუკბანიანი 88), დარცმელია, ომარაშვილი (მჭედლიშვილი 46), ძებნიაური, ზოსიაშვილი (კეკელიძე 88), გაბაძე, ქველაძე

დინამო თბილისმა აუტსაიდერ ლოკომოტივს 2:1 მოუგო. დინამოელთაგან გოლი და საგოლე პასი ბელარუსმა დმიტრი ანტილევსკიმ მიითვალა. განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი „რაბონა“ პასი, რომელსაც თორნიკე კირკიტაძის გოლი მოჰყვა.

ბელარუსის კარგ ქმედებებს შორის ლოკომოტივის გოლი იყო – ბექა ბუიღლიშვილმა ეროვნულ ლიგაში გოლით პირველად გაიხარა...

დილა-საბურთალო 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ღუდუშაური (80)

დილა: კანევცევი, ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე, ღუდუშაური (ღუდუშაური 90), ტავარეში (ლომთაძე 71), მაქაცარია (მადინგა 71), ნონდი, გომისი (ვაგნერი 55), გაგნიძე, ძოწენიძე, სილვა

საბურთალო: გოშაძე, ჯგერენაია, შ.ნონიკაშვილი (მიოჩი 84), ი.ტაბატაძე (შინდაგორიძე 71), ქარდავა, გულიაშვილი (იაშვილი 84), ლ.ნონიკაშვილი (ქავთარაძე 71), კაკუბავა, სიხარულიძე, გოჩოლეიშვილი, უბილავა

გაძევება: ჩადუნელი (87)

გორის დილა წარმატებულ სვლას აგრძელებს. ანდრი დემჩენკოს გუნდმა საქართველოს თასის მფლობელ საბურთალოს პაატა ღუდუშაურის მე-80 წუთზე გატანილი გოლით მოუგო. დილა პოტენციური ლიდერია თბილისის დინამოსთან ერთად და მხოლოდ 3 ქულა აქვს დაკარგული.

ანგარიშის მიუხედავად, მატჩი კარგი და ხარისხიანი გამოდგა. საინტერესოა, რომ დილამ ყველა მატჩი მინიმალური სხვაობით მოიგო.

ტორპედო-სამგურალი 0:2

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 პატარკაციშვილი (14), 0:2 მაისაშვილი (36)

ტორპედო: ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე, ნადარაია, ცინცაძე (ვაჩიბერაძე 60), გ.კუხიანიძე (ძარია 67), პაპუნაშვილი (შულაია 60), სანდოხაძე, არაბიძე, ბუღრიძე (ჩარგეიშვილი 56, კარაგუნისი 67), ქიმაძე, ახვლედიანი

სამგურალი: შოვნაძე, პატარკაციშვილი, გილმორი (დევდარიანი 71), მაისაშვილი (ქურდაძე 83), გავაშელიშვილი (ს.კუხიანიძე 60), ჩიხლაძე, სიმდიანკინი (ა.ვერულიძე 71), მ.ბაშელეიშვილი, გ.თევზაძე (კალანდარიშვილი 71), კიკაბიძე, ჯერალდო

იმერული დერბი, მეზობლების დაპირისპირება, წყალტუბოელებმა პირველ ტაიმში მცველების მიერ გატანილი გოლებით მოიგეს: ჯერ ომარ პატარკაცი შვილმა თავურით გახსნა ანგარიში, შემდეგ დავით მაისაშვილმა ახლოდან „მაკრატელა“ შეასრულა – 0:2.

ორივე გოლი მცველების შეცდომას მოჰყვა. თუმცა, ქუთაისელი გულშემატკივრები უფრო კლუბის ხელმძღვანელობის შეცდომაზე ამახვილებენ ყურადღებას და მატჩის მსვლელობისას ფანებსა და მთავარ მწვრთნელ, გია ცეცაძეს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც უხამს სიტყვებში გადაიზარდა და მსაჯმა რიონისპირელთა თავკაცი მოედნიდან მიაბრძანა.

ტორპედოს გულშემატკივრებს სასაყვედურო აქვთ: ქუთაისურ გუნდს 4 მატჩში 3 წაგება აქვთ, 1 გატანილი და 8 გაშვებული გოლი.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	6	4	1	1	13-4	13
2.დილა	5	4	0	1	7-4	12
3.დინამო (თბ)	4	3	0	1	7-4	9
4.სამგურალი	4	2	1	1	7-4	7
5.გაგრა	4	2	1	1	6-4	7
6.თელავი	4	2	1	1	5-3	7
7.საბურთალო	5	2	1	2	6-5	7
8.ტორპედო	4	1	0	3	1-8	3
9.სიონი	5	0	1	4	2-10	1
10.ლოკომოტივი	5	0	0	5	2-10	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქმარი შეეცადა, ცოლის გულისთვის ზღვა გასაბერი ნავით გადაეცურა

ვიეტნამელი მამაკაცი შეეცადა, ტაილანდიდან ინდოეთში გასაბერი ნავით ჩასულიყო, რათა იქ საკუთარ მეუღლეს შეხვედროდა, თუმცა მისი გადარჩენა თევზსაჭერი გემის ეკიპაჟს მოუხდა.

37 წლის ხო ხოანგ ხუნგმა განაცხადა, რომ ის და მისი ცოლი კოვიდ-19 პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შედეგად ერთმანეთისგან დაშორებით აღმოჩნდნენ. ამიტომ მეუღლის ერთგულმა და მის გარეშე მოწყენილმა ვიეტნამელმა გადაწყვიტა, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ინდოეთში მყოფი ცოლი მოენახულებინა. ამისთვის ის ჩაფრინდა ბანგკოკში და შემდეგ ავტობუსით პხუკეტში ჩავიდა. ვინაიდან მას ინდოეთში შესასვლელი ვიზა არ ჰქონდა, შეიძინა გასაბერი ნავი და ნიჩბები და ინდოეთისკენ გაცურა.

მამაკაცს დაგეგმილი ჰქონდა, ზღვით ორი ათასი კილომეტრი გადაეცურა. მოგზაურობისთვის მან მოიმარაგა სწრაფი მომზადების ლაპშა და მცირე რაოდენობის სასმელი წყალი, მაგრამ ვერ მოიფიქრა თან წაეღო რუკა და კომპასი. ხუნგმა მოგზაურობა ციკლონების სეზონისთვის დაგეგმა. ამიტომ მას ძლიერ ქართან მოუხდა შეჯახება და ორ კვირაში დაახლოებით 80 კილომეტრის გაცურვა მოახერხა.

23 მარტს სიმილანის კუნძულებთან ხუნგი თევზსაჭერი გემის ეკიპაჟის წევრებმა შენიშნეს. მათ ვიეტნამელი გემბანზე აიყვანეს და მის შესახებ ზღვაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტაილანდის ცენტრს აცნობეს.

– ჩვენ დავუკავშირდით ვიეტნამის საელჩოს, ასევე, ინდოეთის საელჩოს, თუმცა ჯერ პასუხი არ მიგვიღია, – აღნიშნა გემის კაპიტანმა პიჩეტ სონგტანმა.

ქალი ქმარს დაშორდა და საკუთარ თავზე იქორწინა

ნიდერლანდების ქალაქ ვორბურგის მცხოვრები მეუღლეს დაშორდა და ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტა საკუთარ თავზე ექორწინა. ორი ბავშვის 32 წლის დედამ, შარლოტა ზუმ ვერდე სივ ვერდინგმა, განაცხადა, რომ მეუღლეს 2020 წელს დაშორდა და დააფუძნა კომპანია, რომელიც ქალების უფლებების და შესაძლებლობების გაფართოებისთვის იბრძვის. მისი თქმით, ეს ინიციატივა დაეხმარა მას საკუთარი თავის ღირებულების შეცნობასა და თავისუფლებაში.

ვერდინგმა აღიარა, რომ ერთ დღეს საკუთარ უსახელო თითს შეხედა, რომელზეც ბეჭედი არ ეკეთა და გადაწყვიტა, საკუთარ თავზე ექორწინა, ვინაიდან ჩათვალა, რომ მხოლოდ ასეთი ქორწინება გაგრძელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე. 2021 წლის ივლისში ქალმა საკუთარ თავს ხელი სთხოვა და სამ თვეში იქორწინა.

ქალმა თეთრი ოქროსგან დამზადებული და სამი ძვირფასი ქვით დამშვენებული ბეჭედი შეიძინა, რომლებიც თავად მას და მის ორ შვილს განასახიერებენ. მან ქორწილი საკუთარ სახლში მოაწყო და მასზე რვა ადამიანი მიიწვია. ნიდერლანდელმა ამ ყველაფერზე 400 ევრო დახარჯა, იყიდა ყვავილები, კაბა, დიადემა, სანთლები, თავად მოამზადა ტორტი და გაშალა სუფრა. მეგობრებმა და ახლობლებმა ქალს მხარდაჭერა გამოუცხადეს და მასთან ერთად სიამოვნებით იზეიმეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წულუკიანი ოლიმპიურ კომიტეტს ესტუმრა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, მინისტრის მოადგილესთან, სოსო გიორგაძესთან ერთად, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში სამუშაო შეხვედრა გამართა. მინისტრი ადგილზე გაეცნო ოლიმპიური კომიტეტის მუშაობის სპეციფიკას და კომიტეტის შენობის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შენობის დათვალიერების შემდეგ თეა წულუკიანმა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობაზე იმსჯელეს. შეხვედრაზე განხილული იყო ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების სავარაუდო ადგილები და მოცემულ ლოკაციებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის (არსებულის რეაბილიტაცია/ახლის აშენება) გზები. მინისტრმა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას აქამდე გაწეული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა და შედგა შეთანხმება, რომ სამინისტრო და ოლიმპიური კომიტეტი ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის სამზადისზე კოორდინირებულად იმუშავებენ.

კატარში ჯგუფები ცნობილია

კატარის დედაქალაქ დოჰაში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. 32 ნაკრები 8 ოთხგუნდიან ჯგუფში განაწილდა.

გუნდები კალათებში ფიფას რეიტინგის მიხედვით იყვნენ განთესილები. ერთადერთი გამონაკლისი, კატარი მასპინძლის სტატუსით სარგებლობდა და პირველ კალათში მოხვდა.

რეგლამენტის თანახმად, ერთი კონფედერაციიდან ჯგუფში 2 გუნდი ვერ მოხვდებოდა, მაგრამ ეს არ ეხებოდა ევროპას, რომლის რაოდენობა ჯგუფების რაოდენობას აღემატებოდა და მინიმუმ 5 ჯგუფში ორი ნაკრების მოხვედრა შეიძლებოდა.

საბოლოოდ, გუნდები ასე დაჯგუფდნენ:

ა ჯგუფი: კატარი, ეკვადორი, სენეგალი, ნიდერლანდები;

ბ ჯგუფი: ინგლისი, ირანი, აშშ, უელსი-შოტლანდია/უკრაინა;

ც ჯგუფი: არგენტინა, საუდის არაბეთი, მექსიკა, პოლონეთი;

დ ჯგუფი: საფრანგეთი, ავსტრალია-პერუ/საამიროები, დანია, ტუნისი;

ე ჯგუფი: ესპანეთი, კოსტა რიკა/ახალი ზელანდია, გერმანია, იაპონია;

ფ ჯგუფი: ბელგია, კანადა, მაროკო, ხორვატია

ჯ ჯგუფი: ბრაზილია, სერბეთი, შვეიცარია, კამერუნი;

ჰ ჯგუფი: პორტუგალია, განა, ურუგვაი, სამხრეთ კორეა.

ჯერჯერობით, ცნობილია 29 მონაწილე, დარჩენილი 3 გუნდი ზაფხულში გაირკვევა: უელსის ნაკრები უკრაინისა და შოტლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის გამარჯვებულს უნდა შეხვდეს; პერუს ნაკრები არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ავსტრალიის ნაკრებებს შორის უმჯობესს ეთამაშება, ხოლო ბოლო მონაწილეს კოსტა რიკა და ახალ ზელანდია ერთმანეთში გაარკვევენ.

წინა მუნდიალებისგან განსხვავებით, წილისყრაზე არ გარკვეულა მატჩების ზუსტი დროები და სტადიონები. რაკი კატარის სტადიონებს შორის მანძილი მცირეა, ფიფამ გადაწყვიტა, რომ ვარირების საშუალება ჰქონოდა. მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარე წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. მატჩების ზუსტი განრიგი და თამაშების დაწყების საათები წილისყრის შემდეგ დადგინდება.

შედეგები

2 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიტა

ლივერპული-უოტფორდი 2:0
ბარნლი-სიტი 0:2
ბრაიტონი-ნორვიჩი 0:0
ვულვზი-ასტონ ვილა 2:1
ლიდსი-საუთჰემპტონი 1:1
ჩელსი-ბრენტფორდი 1:4
მანჩესტერი-ლესტერი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	30	23	4	3	70-18	73
2.ლივერპული	30	22	6	2	77-20	72
3.ჩელსი	29	17	8	4	58-23	59
4.არსენალი	28	17	3	8	44-31	54
5.ტოტენჰემი	29	16	3	10	47-36	51
6.მანჩესტერი	30	14	9	7	49-41	51
7.ვულვზი	31	15	4	12	33-27	49
8.ვესტ ჰემი	30	14	6	10	49-39	48
9.ლესტერი	28	10	7	11	43-47	37
10.ასტონ ვილა	30	11	3	16	42-42	36
11.საუთჰემპტონი	30	8	12	10	37-46	36
12.კრ.პალასი	29	7	13	9	39-38	34
13.ბრაიტონი	30	7	13	10	26-36	34
14.ბრენტფორდი	31	9	6	16	37-48	33
15.ნიუკასლი	29	7	10	12	32-49	31
16.ლიდსი	31	7	9	15	35-68	30
17.ევერტონი	27	7	4	16	29-47	25
18.უოტფორდი	30	6	4	20	29-57	22
19.ბარნლი	28	3	12	13	22-40	21
20.ნორვიჩი	30	4	6	20	18-63	18

ინგლისი. ჩემპიონიტა

ბლექპული-ნოტინგემი 1:4
ბარნსლი-რედინგი 1:1
ბორნმუთი-ბრისტოლი 3:2
დერბი-პრესტონი 1:0
კარდიფი-სუონსი 0:4
ქოვენთრი-ბლექბერნი 2:2
ქპრ-ფულემი 0:2
ლუთონი-მილუოლი 2:2
პიტერბრო-მიდლსბრო 0:4
სტოკი-შეფილდი 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ფიურტი 0:0
არმინია-შტუტგარტი 1:1
ლევერკუზენი-ჰერტა 2:1
ფრაიბურგი-ბაიერნი 1:4
ჰოფენჰაიმი-ბოხუმი 1:2
დორტმუნდი-ლაიფციგი 1:4

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	28	21	3	4	85-29	66
2.დორტმუნდი	28	18	3	7	68-42	57
3.ლევერკუზენი	28	15	6	7	68-42	51
4.ლაიფციგი	28	14	6	8	61-31	48
5.ფრაიბურგი	28	12	9	7	44-33	45
6.ჰოფენჰაიმი	28	13	5	10	50-42	44
7.უნიონი	28	11	8	9	34-38	41
8.კიოლნი	28	10	10	8	38-41	40
9.აინტრახტი	28	10	9	9	39-38	39
10.მაინცი	26	11	4	11	39-30	37
11.ბოხუმი	28	10	5	13	30-40	35
12.გლადბახი	27	9	6	12	38-51	33
13.ვოლფსბურგი	27	9	4	14	29-42	31
14.შტუტგარტი	28	6	9	13	36-51	27
15.აუგსბურგი	26	6	8	12	29-44	26
16.არმინია	28	5	11	12	23-39	26
17.ჰერტა	28	7	5	16	30-62	26
18.ფიურტი	28	3	7	18	24-70	16

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-პადერბორნი 1:2

ჰამბურგის გოლი
გიორგი ჩაკვეტაძემ გაიტანა

ჰანოვერი-რეგენსბურგი 1:1
დარმშტადი-კილი 3:1
ჰანზა-ზ.პაული 1:0

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ხეტაფე-მალიორკა 1:0
ლევანტე-ვილიარეალი 2:0
სელტა-რეალი 1:2
ატლეტიკო-ალავესი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	30	21	6	3	61-26	69
2.სევილია	29	15	12	2	40-19	57
3.ატლეტიკო	30	17	6	7	57-37	57
4.ბარსელონა	28	15	9	4	56-29	54
5.ბეტისი	29	15	5	9	50-35	50
6.სოსიედადი	29	13	9	7	29-29	48
7.ვილიარეალი	30	12	9	9	48-29	45
8.ბილბაო	30	11	11	8	35-29	44
9.ვალენსია	29	10	10	9	42-43	40
10.ოსასუნა	29	10	8	11	29-36	38
11.სელტა	30	9	9	12	34-34	36
12.ესპანიოლი	29	9	9	11	35-41	36
13.რაიო	28	9	5	14	29-34	32
14.ხეტაფე	30	7	11	12	28-33	32
15.ელჩე	30	8	8	14	31-42	32
16.გრანადა	29	6	10	13	31-46	28
17.კადისი	29	5	12	12	25-41	27
18.მალიორკა	30	6	8	16	26-50	26
19.ლევანტე	30	4	10	16	33-58	22
20.ალავესი	30	5	7	18	24-52	22

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ლუგო 4:1
სოსიედადი ბ-ალკორკონი 2:4
ამორებიეტა-იბიცა 3:1
ტენერიფე-სარაგოსა 1:1

იტალია. სერია ა

სპეციია-ვენეციია 1:0
ლაციო-სასუოლო 2:1
სალერნიტანა-ტორინო 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.მილანი	30	20	6	4	56-29	66
2.ნაპოლი	30	19	6	5	53-22	63
3.ინტერი	29	17	9	3	62-24	60
4.იუვენტუსი	30	17	8	5	47-26	59
5.ლაციო	31	15	7	9	60-46	52
6.რომა	30	15	6	9	50-35	51
7.ატალანტა	29	14	9	6	51-31	51
8.ფიორენტინა	30	15	5	10	49-38	50
9.სასუოლო	31	11	10	10	56-51	43
10.ვერონა	30	11	9	10	55-47	42
11.ტორინო	30	10	8	12	35-30	38
12.ემპოლი	31	8	9	14	41-56	33
13.ბოლონია	29	9	6	14	32-44	33
14.სპეციია	31	9	5	17	32-54	32
15.უდინეზე	28	6	12	10	36-46	30
16.სამპდორია	30	8	5	17	39-51	29
17.კალიარი	30	5	10	15	28-54	25
18.ჯენოა	30	2	16	12	23-47	22
19.ვენეცია	30	5	7	18	25-55	22
20.სალერნიტანა	29	3	7	19	22-66	15

იტალია. სერია ბ

ალესანდრია-სპალი 2:2
ასკოლი-პორდენონე 1:0
კოზენცა-პარმა 1:3
კრემონეზე-რეჯინა 1:1
ლეჩე-ფროზინონე 1:0
ჩიატდელა-ტერნანა 1:2
ბენევენტო-პიზა 5:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ნიცა-რენი 1:1
ლილი-ბორდო 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	29	20	5	4	59-27	65
2.რენი	30	16	5	9	64-29	53
3.მარსელი	29	15	8	6	45-27	53
4.სტრასბური	30	14	9	7	51-32	51
5.ნიცა	30	15	7	8	40-24	51
6.ლილი	30	12	11	7	38-35	47
7.მონაკო	29	12	8	9	43-30	44
8.ლანსი	30	12	8	10	45-40	44
9.ნანტი	29	12	6	11	36-31	42
10.ლიონი	29	11	10	8	40-37	42
11.მონპელიე	29	12	5	12	43-40	41
12.რეიმსი	29	8	12	9	32-31	36
13.ბრესტი	29	9	8	12	36-43	35
14.ანჟე	29	8	8	13	32-41	32
15.ტრუა	29	7	8	14	27-42	29
16.ლორიანი	29	6	10	13	24-43	28
17.კლერმონი	29	7	7	15	28-51	28
18.სტ.ეტიენი	29	6	9	14	29-51	27
19.მეცი	29	4	11	14	26-52	23
20.ბორდო	30	4	11	15	38-70	23

საფრანგეთი. ლიგა 2

ტულუზა-პარიზი 2:1
ვალანსიენი-ამიენი 0:2
დიჟონი-გრენობლი 1:0
კაენი-დიუნკერკი 2:1
კევიი-სოშო 0:2
ნიმი-გენგამი 0:2
პო-ლე ავრი 2:1
როდეზი-ნიორი 1:1
ბასტია-ოსერი 1:1

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-აიაქსი 1:3
ტვენტე-პსვ 3:3
ალკმაარი-ვიტესი 3:1
ვალვაიკი-უტრეხტი 1:1
ფეინოორდი-ტილბურგი 2:0

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბელენენსეში-პორტიმონენშე 2:0
აროუკა-ჟილ ვისენტე 2:1
ეშტორილი-ვიზელა 1:2
ფამილიკაო-ბოავიშტა 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-სტ.ტრუიდენი 0:2
მეხელენი-კორტრაიკი 3:2
ოსტენდე-სერენი 2:2

სერენის მე-2 გოლი
გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა

ლეუვენი-ანტვერპენი 0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-რიდი 0:2
ალტახი-ადმირა 2:2
ჰარტბერგი-ტიროლი 0:1

მოტლანდია. ჩემპიონიტა

მოზერველი-სტ.მირენი 4:2
როსი-ჰარტსი 1:1
სტ.ჯონსონი-ლივინგსტონი 1:0
დანდი-აბერდინი 2:2
ჰიბერნიანი-დ.იუნაიტედი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გირესუნი-სივასი 2:2
ალთა-ანთალია 1:2
ქაისერი-ფენერბახჩე 0:4
გალათასარაი-ქარაგუმრუქი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-ოფი 1:2
ასტერასი-ატრომიტოსი 0:0
იონიკოსი-ვოლოსი 2:2
აპოლონი-პანეთოლიკოსი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ციურიხი-გრასჰოპერსი 1:1
სიონი-სტ.გალენი 0:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჩესკე-ზლინი 2:2
ლიბერეცი-ტეპლიცე 0:1
სლოვაკეთ-სიგმა 1:0
სპარტა-ბანიკი 2:1

პოლონეთი. ექსტრალიგა

ვარტა-ჩენსტოხოვა 0:2
ლენჩნა-პოგონი 0:4
ლეგია-ლეხია 2:1

უნგრეთი. 1 დივიზიონი

დებრეცენი-ზალაეგერსეგი 0:0
ფეჰერვარი-კიშვარდა 5:3
ჰონვედი-პაკში 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

ჰამარბი-ჰელსინბორგი 2:1
ჰაკენი-აიკი 4:2

ნორვეგია. ეროვნული

ჰამ კამი-ლილესტრომი 2:2
მიოლდე-ვალერენგა 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

გახსენება

ორმოცი ტკივილიანი და ცრემლიანი დღე გავიდა, რაც უეცრად გარდაიცვალა ნიჭიერი ბიზნესმენი, სატრანსპორტო ტრანსპორტის კარგი მცოდნე

პაატა თამაზის ძე ნაყოფია

პაატა იყო ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდა პიროვნება. დინჯი, აუღელვებელი თანამშრომლებთან ურთიერთობაში. მისი უდროოდ წასვლა დიდი დანაკლისია ქვეყნისა და კოლექტივისთვის, სადაც ის მუშაობდა. მან დატოვა მამისეული ლამაზი ოჯახი, მეზობლები, უამრავი სანათესაო და სამეგობრო.

გამწარებული დედა, ქალბატონი ნატაშა, საფიცარი ძმა სპარტაკი, მამიდა ძაბული, ბიძია ჯემალი ოჯახებით, ბიცოლები მზიური, მაყვალა, შვილები თემურ თამლიანი და კოტე კოხია ოჯახებით – ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვართ შენი გარდაცვალებით, საყვარელო პაატა!

შენი სული უკვე სასუფეველშია, ზეციურ საქართველოში. ღმერთო, ნათელში ამყოფე პაატა ნაყოფიას უკვდავი სული!

ნაყოფიების საგვარეულო

ნანა და სოსო ნაყოფიები, ნიკოლოზ, გოჩა ბიგვავები მწუხარებას უცხადებენ სპარტაკ ნაყოფიას საყვარელი ძმის

პაატა ნაყოფიას

გარდაცვალების გამო.

მამუკა, ლადო, ელგუჯა, გოდერძი, კობა, ჯანდრი, მამუკა, ზაალი, შალვა, მერაბი, მალხაზი და ჯეირანი ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

პაატა ნაყოფიას

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის ტრაგედიები; 2. ალბანეთის დედაქალაქი; 3. თურქეთის პრეზიდენტი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ლითონის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 14. სოხუმის აეროპორტი; 16. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების ერთდროული დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 17. ქალაქი იმერეთში; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 20. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

თარაზულად: 5. ჩეჩენთა და ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10. რძის პროდუქტი; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო კომპანია; 13. მომაბეზრებელი, ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 18. მდინარეზე, ხეობაზე გადებული, ბაგირებზე დაკიდებული ხიდი; 21. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 22. მარგალიტის ყელსაბამი; 23. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სეკანსი; 2. ტაბა; 3. ბარბი; 4. ცვაიგი; 5. ქობულაძე; 9. ნოქარი; 13. წაღვერი; 14. ყაზბეგი; 15. პალაცო; 17. პოლკა; 18. შხარა; 20. ორლი.

თარაზულად: 1. სატურნი; 5. ქორქი; 7. ხარკოვი; 8. კაბერნე; 10. სააბი; 12. არქივი; 11. ბროლი; 16. ბაზაძე; 17. პუნში; 19. ღრძო; 21. ქაშერი; 22. სკვერი; 23. ლომისა; 24. ჯიქები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კრახუნა; 2. ბელუჩი; 3. ხონთქარი; 4. ბიპოლიდი; 7. ტარანტინო; 8. ჰოლდინგი; 12. ხაჭაპური; 14. ბალატონი; 16. პორტერი; 17. ჟურნალი; 19. დუდა; 20. ჩოხა.

თარაზულად: 5. ღრმაღელე; 6. აკორდეონი; 9. ნუტრია; 10. ჩარექა; 11. ალაფი; 13. შაირი; 15. ჩანახი; 18. მონჟი; 21. ჩოხატაური; 22. ევკომია; 23. დარბაზი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0918

ევრო — 3.4195

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0629

100 რუსული რუბლი — 3.7211

ამინდის პროგნოზი 4 აპრილისათვის

კრიშტიანო რონალდუს პორტუ ეპატიჟება

მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ, დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს პორტუგალიაში დაბრუნდება, სადაც მას რამდენიმე გუნდი ეპატიჟება.

ერთ-ერთი მათგანი სპორტინგია, სადაც რონალდუს კარიერა დაიწყო, თუმცა ასპარეზზე გამოჩნდა პორტუც, რომელიც მზად არის კრიშტიანოს მაღალი ანაზღაურება შესთავაზოს, თუმცა მანჩესტერში იმედოვნებენ, რომ რონალდუ გუნდს არ დატოვებს.

ერლინგ ჰოლანდი რეალში მაღალ ხელფასს ითხოვს

იმ შემთხვევაში, თუ ერლინგ ჰოლანდი რეალის ფეხბურთელი გახდება, მას თავისი მოთხოვნები აქვს და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ხელფასის სახით 20 მილიონს ითხოვს წელიწადში.

თუ ეს სიმართლეა, დიდი ალბათობით, რეალი უარს იტყვის მის ტრანსფერზე, რადგან მსგავსი ანაზღაურება ამჟამად სამეფო გუნდისთვის რთული გადასახდელი იქნება.

ბარსელონა დემბელესთან მოლაპარაკებებს აწარმოებს

ბარსელონა უსმან დემბელესთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და მზად არის, მასთან ახალი კონტრაქტიც გააფორმოს, თუმცა ჯერჯერობით ამ მხრივ მაინც არსებობს დაბრკოლებები და უსმანს უფრო მაღალი ანაზღაურება სურს, რაც ბარსელონასთვის რთული შესასრულებელი იქნება.

მიუხედავად ამისა, კატალონიაში თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ დემბელეს დაყოლიებას შეძლებენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

რუსთაველის თეატრში კონკურსი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის ჩაიშალა

რუსთაველის თეატრის მიერ დაანონსებული კონკურსი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის ჩაიშალა:

– რუსთაველის ეროვნული თეატრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი სამმა კონკურსანტმა შემოიტანა.

კონკურსის პირობის თანახმად, მათ უნდა წარმოედგინათ საკონკურსო პიესის კონცეფცია – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. წარმოდგენილი კონცეფციები არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას, რის გამოც კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა.

თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის მიზნით, რუსთაველის ეროვნული თეატრი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, – ნათქვამია რუსთაველის ეროვნული თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 აპრილისათვის

ვერძი – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **ჯარო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

თბილისში ჩასული ქუთაისელი ერთ მეგობარს ესტუმრა. მგზავრობაში მოშიებულს მასპინძელი ყავით გაუმასპინძლდა. იქიდან წამოსულმა მეორე მეგობარს შეუარა. იქაც ყავა დაალევინეს. ესტუმრა მესამეს. იქაც ყავით გაუმასპინძლდნენ. მეოთხე მეგობართან მისულს, მასპინძელი ეკითხება:

– ცხელ ყავას დალევ თუ ცივს?

– ცხელი იყოს, ოღონდ შიგნით ერთი ცალი კარტოფილი ჩამიგდეთ...

•••

სამზარეულოში მყოფი ქმარი ცოლს გასძახებს:

– ძვირფასო, ობიანი ყველი გიყვარს?

– ძალიან!

– მაშინ ძეხვიც მოგეწონება...

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ჩემი ცოლი გამუდმებით ახველებს. რა წამალი აღარ ვცადეთ, მაგრამ ხველებამ მაინც არ გაუარა.

– ბალახეულობა სცადეთ?

– ვცადეთ, ხითხითებს, მაგრამ მაინც ახველებს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალმა ოკეანე ნიჩბიანი ნავით გადაცურა და რეკორდსმენი გახდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ატლანტის ოკეანე შვიდმეტრიანი ნიჩბებიანი ნავით პირველივე ცდაზე გადაცურა და ქალებს შორის სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

35 წლის ლონდონელ ვიქტორი ევანსს 40 დღე და 19 საათი დასჭირდა 4,7 ათასი კილომეტრის გადასალახავად კანარის კუნძულებიდან ბარბადოსამდე მხოლოდ ნიჩბების გამოყენებით. ადრინდელი მსოფლიო მიღწევა 47 დღესა და 7 საათს შეადგენდა. ცურვის დასრულების შემდეგ ბრიტანელმა განაცხადა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა იმისთვის გადაწყვიტა, რათა ქალებისა და გოგონებისთვის ეჩვენებინა, რომ მათთვის შეუძლებელი არაფერია. ევანსი ადვოკატად მუშაობს და ნიჩბოსნობით არასოდეს ყოფილა დაკავებული, ხოლო ამ ექსტრემალური მოგზაურობისთვის მზადება სამი წლის წინ დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„მასტერშეფი“ მეშვიდე სეზონით ბრუნდება

კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მეშვიდე სეზონით ბრუნდება.

17 აპრილიდან ყოველ კვირას კულინარიის მოყვარულებს საშუალება ექნებათ კონკურსანტების მიერ მომზადებული კერძებისა და ჟიურის შეფასებებს ადევნონ თვალი.

შოუს მეშვიდე სეზონში მონაწილეებს ჟიურის ოთხი წევრი შეაფასებს: თეკუნა გაჩეჩილაძე, კონსტანტინე თედელური, ლუკა ნაჭყებია და ლევან კობიაშვილი. შეფ ლევანი წინა სეზონს გამოეთიშა, რადგან მისი გეგმები უცხოეთს უკავშირდებობა, ამჯერად კი კვლავ „მასტერშეფის“ კონკურსანტების შემფასებელი იქნება.



მაია ასათიანი საკუთარ გამოცდილებას მსურველებს გაუზიარებს

ტელეწამყვანი მაია ასათიანი „პროფილის“ დახურვის შემდეგ მარკეტინგის საერთაშორისო სკოლაში მიიწვიეს, სადაც ტელეჟურნალისტიკის კურსზე ლექციებს წაიკითხავს.

პირველი კურსი 17 მაისიდან დაიწყება, სადაც მსურველები მიიღებენ ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ კეთდება ახალი ამბების რეპორტაჟი, პირდაპირი ჩართვა, ახალი ამბების წამყვანი, პოლიტიკური თოქ-შოუ, არაპოლიტიკური თოქ-შოუ, მხატვრული რეპორტაჟი, პროდიუსინგი და კიდევ ბევრი რამ, რაც მსურველებს გამოცდილ ტელეჟურნალისტად აქცევს.

ზვიად ციკოლიამ სათვალეების წარმოება დაიწყო

დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ, რომელიც თავისი ნიჭიერებით მთელ მსოფლიოშია ცნობილი, სათვალეების წარმოება დაიწყო.

საათებისა და სამკაულების შემდეგ, დიზაინერმა ორიგინალური სათვალეები დაამზადა და მათი შეძენა მსურველებს სულ მალე შეეძლებათ:

– კიდევ ერთი ახალი პროდუქტი ციკოლიასგან ჩაეშვა წარმოებაში.

თემურ წიკლაურს სიმღერა მიუძღვნეს

კოვიდს შეწირულ ლეგენდარულ მომღერალს თემურ წიკლაურს სიმღერა მიუძღვნეს.

გოჩა იაშაღაშვილმა ანსამბლ „ივერიას“ უცვლელ წევრს სევდიანი ტექსტითა და მშვიდი მელოდიით სიმღერა დაუწერა. ავტორმა ახალ ნაწარმოებზე კომპოზიტორ გია მაჭარაშვილთან და ირაკლი ქაცარავასთან ერთად იმუშავა.

სიმღერაზე გოჩა იაშაღაშვილმა სპეციალური ვიდეორგოლიც დაამზადა, ინტერნეტშიც განათავსა და ათასობით მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა.

თემურ წიკლაური გასულ წელს 75 წლის ასაკში კორონავირუსმა იმსხვერპლა.

ზურაბ ქაფიანიძე 85 წლის გახდებოდა



მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე 85 წლის გახდებოდა. მისი საიუბილეო თარიღი მისმა ერთგულმა მაყურებელმა ხელოვანის მონატრებითა და საფლავზე გასვლით აღნიშნა.

პანდემიის გამო, ზურაბ ქაფიანიძის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა არ დაგეგმილა.

მსახიობმა თავისი კარიერა ქუთაისის მესხიშვილის თეატრიდან დაიწყო, მოგვიანებით კი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი გახდა. სწორედ ამიტომ, მაყურებლისთვის იუბილარი მსახიობი მაინც კინოს მსახიობია. ივანე კოტორაშვილი, აპარეკა, მიხა, ჩოფე, პაპაი – ეს იმ როლების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მაყურებელმა სამუდამოდ შეიყვარა.

ზურაბ ქაფიანიძემ ცხოვრების უდიდესი ნაწილი დაუთმო შუმერების საკითხზე მუშაობას. მან ამ საკითხზე წიგნებიც კი გამოსცა: „შუმერების ანბანი“, „კაცობრიობის პირველი ანბანი: ძველი აღმოსავლეთის სამყაროსეულ ცივილიზაციათა სათავე“, „ბიქილას საიდუმლო“, „ასეთი იყო ჩემი საქართველო“.

მსახიობს რუსთაველის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. იგი უკრაინის საპატიო მოქალაქეც იყო, თუმცა, როგორც თავად ამბობდა, ყველაზე დიდი ჯილდო მაინც მაყურებლის უდიდესი სიყვარული აღმოჩნდა, რომელსაც ზურაბ ქაფიანიძე სიცოცხლის ბოლომდე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 3. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 4. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 9. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 13. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 14. ყალბისმქნელი, მატყუარა ადამიანი; 15. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 17. გემი, რომლითაც ჩარლზ დარვინმა მსოფლიოს შემოუარა; 18. ჭაობის ორთქლი; 20. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში.

თარაზულად: 1. ზებუნებრივი ძალის რწმენა; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 10. ბოსტნეულის მავნებელი მატლი; 11. საშემოდგომო ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 12. ალ. მაკედონელის კარზე მოღვაწე მოქანდაკე, მხატვარი; 16. დიდი ციმბირული ირემი; 17. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 19. უკრაინის პარლამენტი; 21. ილუზიონისტის ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 22. ერთად აკინძული სურათების, ნახაზების, ილუსტრაციების კრებული; 23. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 24. მხარე ავსტრიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა